საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 14 სექტემბერი. 2023 წ. №104 (9636) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

გიორგი კვესიტაძე:

რელიგიური ტურიზმი რენესანსს განიცდის

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გამოიცა წიგნი – „რელიგიური ტურიზმი“, რომლის ავტორიც გახლავთ ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალების და მუნიციპალური რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ნოდარ გრძელიშვილი.

წიგნი სამი ნაწილისგან შედგება.

იხ. 6 გვ. **რეცენზია**

ნოდარ გრძელიშვილის წიგნზე „რელიგიური ტურიზმი“

კვალი დროში

ნოვატორი მედიცინაში, ბიოინჟინერიაში, სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში

5

აკადემიკოს რამაზ ქაცარავას დიდი სამეცნიერო თვალსაწიერი

ეკონომიკური ბაქიბუქი ეჭვის ჭიის თანხლებით...

იხ. 4 გვ.

საქართველო წელსაც საინვესტიციო რეკორდზე მიდის!

„ვნერთ აფხაზურად, ქართული ასოებით“

7

დაეხმარება თუ არა ახალი ინიციატივა კონსტიტუციის დაცვას?

კახა ქორიძე - ღიმილის ბიჭი,

მხატვარ-არქიტექტორი, სამეფო სახლის კანცლერი...

იხ. 12 გვ.

უცხოეთში მოღვაწე დიასპორელების დაჯილდოება პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ბექა ოდიშარიას ორგანიზებით, პარლამენტში უცხოეთში მოღვაწე დიასპორელები დააჯილდოვეს.

წარმატებულ დიასპორელებს სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა.

„უკვე დრო არის, რომ ჩვენ დიასპორას შევხედოთ როგორც წარმატებულ ქართველებს, რომლებიც საქართველოსთან კონტაქტს ინარჩუნებენ და ქვეყანას აძლიერებენ“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

შალვა პაპუაშვილმა ყურადღება გაამახვილა უცხოეთში ქართული ეკლესიის როლზე.

„ეკლესია არის ის ადგილი, სადაც ქართველებს შეესაძლებლობა აქვთ, ერთმანეთი იპოვონ და გვერდში დაუდგნენ. ეკლესიასთან არსებულ საკვირაო სკოლებს დიდი როლი აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ სამშობლოსთან კავშირი, მათ შორის ენობრივი, კულტურული და

სულიერი შენარჩუნებული იყოს“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარიამ. მისი თქმით, მნიშვნელოვანია უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ღვაწლის დაფასება და ქართული დიასპორის გაძლიერება ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობით. მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ კონსტანტინიდმა და ქართულ დიასპორასთან ურთიერთობაში სამინისტროს როლზე ისაუბრა.

ბექა ოდიშარიამ და პარლამენტის წევრებმა წარმატებულ დიასპორელებს, რომლებიც აქტიურად საქმიანობენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მადლობის სიგელები გადასცეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები, ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი, მეუფე საბა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. წარმატებული ემიგრანტების დაჯილდოების დასკვნითი ღონისძიება დღეს, 14 სექტემბერს, რუსთაველის ეროვნულ თეატრში გაიმართება.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ:
ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲓᲐᲨᲚᲘᲚᲘ, ᲛᲝᲨᲚᲘᲚᲘ, ᲩᲐᲨᲚᲘᲚᲘᲐ!..

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ სუსტი კი არა, მართლა დაშლილი, მოშლილი, ჩაშლილია. მათ ყველა სიტყვა უხდებათ, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, რაც მეტი შიდა დაპირისპირება იქნება „ნაციონალურ მოძრაობაში“, მით უკეთესია.

„კონკურენცია, რომელიც ხაგეიშვილს, ლომჯარიასა და სხვებს შორის არსებობს, არის „ნაცმოძრაობის“ შიგნით, შიდა პარტიული კონკურენცია. ჩვენ ამაში არ ვერევით. რატომ უნდა ჩავერიოთ? თვითონ სააკაშვილი არის ამ დაპირისპირების მონაწილე. იქ არის მელია, უგულავა, ლომჯარია – რაც მეტი იქნება მათ შორის შიდა დაპირისპირება, მით უკეთესი. მათ შიდა საქმეებში ჩვენ არ ჩავერევით. პირიქით, მგონია, რომ ეს შიდა დაპირისპირებები ძალიან კარგია, ამ კუთხით მათ მაქსიმალურად უნდა მივცეთ თავისუფლება“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ:
ᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲑᲐ ᲐᲖᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲐᲖᲠᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ



„ᲩᲕᲔᲜᲡ საზოგადოებას წინ აქვს დიდი გამოწვევები. ნებისმიერი დაყოფა გვაკარგვინებს საერთაშორისო მხარდაჭერას, ვინაიდან ევროპულ და ამერიკულ გულშემატკივრებში ყალიბდება აზრი, რომ ქართულ ოპოზიციას არ შესწევს ერთიანობის უნარი და ასეთი სუსტი ოპოზიციის ხმამაღალი მხარდაჭერა აზრს მოკლებულია. რაც მთავარია, ეს პირადი წვრილმანი ამბიციები და კინკლაობა იწვევს გულგრილობას ჩვენს ხალხში.

ივანიშვილმა ბევრჯერ სცადა „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლა, ზოგჯერ ეს ხდებოდა მისი ჩარევის გარეშეც, ცნობილი სახეების ამბიციების გამო. ამან ჩვენი საერთო საქმე ძალიან დააზარალა. 2018 წელს რომ არ ყოფილიყო ბაქრაძის ცალკე საპრეზიდენტო კანდიდატურა, ოპოზიცია პირველივე ტურში დიდი უპირატესობით მოიგებდა საპრეზიდენტო არჩევნებს და ისტორია სულ სხვაგვარად წარიმართებოდა“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა „ფორმულასთან“ ინტერვიუში.

მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ ახლა უნდა იყოს უფრო გახსნილი და უფრო მეტი შიდა დემოკრატიით, ვიდრე ოდესმე.

„ლევან ხაგეიშვილი ძალიან ბევრს მუშაობს და ავლენს უშიშრობას, ჩვენ გვყავს ახალი ვარსკვლავები, მაგალითად, სოფო ჯაფარიძე, ირაკლი ფავლენიშვილი, ალექსანდრე კრევო-ასათიანი, მაგრამ ძალიან გვჭირდება უკვე გამოცდილი მებრძოლების, კობა ნაყოფიას, გიორგი კირთაძისა და ეკა ხერხეულიძის წინ წამოწევა. ისევე, როგორც გიგი უგულავასა და სხვა ადრე გასული ადამიანების რეინტეგრაცია. ჩვენს მიდგომებს იმაზე ვერ ავაგებთ, ვინმესგან როდის, რა გვეწყინა. მთავარია, ადამიანი ქვეყნის ერთგული იყოს და ბრძოლაში გამოიჩინოს თავი“, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐ:
ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲔᲕᲚᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲒᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡᲝ, ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲯᲔᲠᲔᲑ!

ᲓᲦᲔᲛᲓᲔ პარტიის ხლეჩის, ნგრევის, პარტიიდან წევრების გარიცხვის გარდა, ამ მენეჯმენტს არაფერი უკეთებია. სამწუხაროდ, ეს მოცემულობაა. ერთობაზე სადღეგრძელოს სახით უბრალოდ საუბარი არ არის საკმარისი. როდესაც არის კედელი ჩამონგრეული, უნდა ააშენო, – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილმა თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ განაცხადა, რითიც მიხეილ სააკაშვილის სიტყვებს გამოეხმაურა.

„თუ „ნაციონალური მოძრაობიდან“ გასვლას აპელირებს, „ნაციონალურ მოძრაობას“ იდეურად უამრავი ის ადამიანი, ვინც დღეს არის პარტიულ მენეჯმენტში. პარტია არ არის საარჩევნო ნომერი, ლოგო. პარტია არის ღირებულება, ფასეულობა, არის იდეა. ამ ყველაფერს თუ ვინმე დაშორდა და თუ ვინმემ დატოვა პარტია არის, რაც არ უნდა პარადოქსულად ულერდეს ამ პარტიის ხელმძღვანელობა. ვისაც წასვლა უნდა წავიდეს, წამსვლელი წავიდეს – არა, ჩემო ბატონო, ასეთი დამოკიდებულება შორს ნამდვილად ვერ წაგვიყვანს. იესო ქრისტე რომ მომევლინოს და მითხრას, რომ პარტიას დღეს ლევან ხაგეიშვილი მართავს, არ დავიჯერებ, იმიტომ, რომ ეს სიმართლე არ არის“...

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ:
ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲓᲐ...

ᲠᲘᲡᲘ გამკეთებელიც თვითონ არის იმას საუბრობს, – ასე გამოეხმაურა თბილისის მერი კახა კალაძე მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს კანდიდატის სტატუსი ქვეყანამ ვერ მიიღოს. სააკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ ხელისუფლება გეგმავს რეპრესიების დაწყებას მედიის მიმართ.

„სააკაშვილი როცა ხელისუფლებაში იყო, გვახსოვს რით იყო დაკავებული – რეპრესიებით, განსხვავებულ აზრს დევნიდა, პოლიტიკურად განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს და მათ ოჯახის წევრებს ჯოჯოხეთს უწყობდა, რამდენი არაკანონიერად დაპატიმრებული ადამინი გვყავდა გახსოვთ და გახსოვთ რა დამოკიდებულება და მიდგომები ჰქონდა ჟურნალისტებთან და ტელევიზიებთან. ეს ადამიანი ფიქრობს იმას, რომ სხვა ადამიანებიც და სხვა კონკრეტული ხელისუფლების წარმომადგენლებიც იმავეს მკადრებლები არიან.

ეს არის მათი უბედურება, ვერ ხვდებიან რომ დღეს საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, ვინც ქვეყნის ინტერესებზე ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებზე ზრუნავს, თუნდაც ევროინტეგრაციის მიმართულებით, თუ რაიმე წარმატებას მიაღწია ქვეყანამ, ეს ყველაფერი უკავშირდება 2012 წლის შემდგომ პერიოდს და იმ გუნდს, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია“, – განაცხადა კალაძემ.

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ:
ᲡᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲖᲔ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲛᲘᲯᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲡ

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ დეპუტატის, **რომან გოცირიძის განაცხადებით, სახაროვის სახელობის პრემიაზე ნინო ლომჯარიას წარდგენა სასიამოვნო ფაქტია.**

მისივე თქმით, ეს ფაქტი საქართველოს რეპუტაციისთვისაც კარგი იქნება.

„ეს სასიამოვნო ფაქტია და საერთაშორისო პარტნიორების თვალში ქვეყნის იმიჯს ამაღლებს. სახალხო დამცველის ინსტიტუტი იყო ერთადერთი დაწესებულება, რომელიც ბიძინა ივანიშვილის გავლენის ქვეშ არ იყო. ლომჯარიამ შეძლო დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება ამ სფეროში, რომელმაც მრავალ წნეხს გაუძლო. ამიტომ იგი იმსახურებს ამ პრიზს, რომელიც ასევე ქვეყნის რეპუტაციისთვის კარგი იქნება“, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

კითხვაზე, რა პოლიტიკური წონა და გავლენა აქვს ნინო ლომჯარიას, გოცირიძემ განაცხადა:

ევროკავშირს არ აინტერესებს, ვინ მიიღებს პოლიტიკაში მონაწილეობას და ვინ არა. ეს შიდა პოლიტიკასთან არავითარ კავშირში არ არის. ნინო ლომჯარია წარდგენილია მისი წარსული მუშაობის შეფასებიდან გამომდინარე და ეს მუშაობა იყო დადებითი. ასე ვაფასებთ ოპოზიცია და ასე აფასებს ევროკავშირი. „ქართული ოცნებაა“ ერთადერთი, ვინც ნინო ლომჯარიას ლანძღავს, მის მუშაობას უარყოფითად აფასებს“, – აღნიშნა რომან გოცირიძემ.

ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲥᲝᲚᲒᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ აშშ-ის თავდაცვის მდივანს, ლოიდ ოსტინს ამერიკული ბაზის გახსნაზე უარი უთხრა.

კობახიძის თქმით, აღნიშნული ინფორმაციის წყარო არასერიოზულია.

„წყარო ვინ არის ამ ინფორმაციის? ეს ხომ არასერიოზულია. წყარო როცა არის ვიღაცის სახელი და გვარი, ეს უკვე სასაცილოს ხდის ინფორმაციას. ერთადერთი, რამაც შეიძლება, საქართველოს მისცეს უსაფრთხოების გარანტია არსებულ ვითარებაში. ეს არის ნატოს წევრობა. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ცენტრალური ევროპის ქვეყნებს იცავს სწორედ ნატოს ქოლგა.

არავითარი ბაზა არ არის ზოგადად უსაფრთხოების გარანტი. ბაზამ როგორ უნდა დაგიცვას? ნატოს ქოლგა არის ერთადერთი გარანტი. ამიტომ არის ეს ყველაფერი აბსოლუტურად არასერიოზული“, – განაცხადა კობახიძემ.

ᲜᲐᲩᲝ ᲡᲐᲜᲩᲔᲡᲘ:
ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲘᲧᲝ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ-ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲐᲚᲙᲔᲕᲔᲑᲐ...

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, რომ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ერთ დონეზე უნდა იყვნენ და ჩემი აზრით, ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენოთ, რათა ევროპული დღის წესრიგი შესრულდეს, – ამის შესახებ ევროპარლამენტარმა ნაჩო სანჩესმა განაცხადა.

„ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგად კონტექსტში არის ევროკავშირის გაფართოებისთვის შესაძლებლობის ფანჯარა და ეს ეხება ბევრ ქვეყანას. ჩემთვის ყოველთვის შეცდომა იყო უკრაინა-მოლდოვისგან საქართველოს განცალკევება და მიზანი უნდა იყოს მათი ერთ დონეზე ყოფნა, რადგან ამ მოცემულობამ არ შეუწყო ხელი დეპოლარიზაციას. საქართველომ უნდა აჩვენოს ერთიანობა.

ევროპულ ინსტიტუტებში მთავრობასა და პრეზიდენტს შორის რაც ხდება არ ქმნის ხელსაყრელ გარემოს. ბორელმა მთავარ გზავნილებს გაუსვა ხაზი და ეს უნდა იყოს ეროვნული მიზანი. კომისია ანგარიშზე მუშაობს და კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს. გარედან ჩანს, რომ პოლარიზაცია ისევ იმ დონეზეა და დაემატა ხელისუფლებასა და მთავრობას შორის აზრთა სხვადასხვაობა. ევროკავშირში ბევრი ფიქრობს, რომ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ერთ დონეზე უნდა იყვნენ და ჩემი აზრით ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენოთ, რათა ევროპული დღის წესრიგი შესრულდეს. ერთიანობის იმიჯი უნდა აჩვენოთ პარტნიორებს“, – აღნიშნა სანჩესმა.

ᲰᲔᲚᲛᲣᲢ ᲨᲝᲚᲪᲘ:
ᲨᲐᲜᲡᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ...

„ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ღია და გახსნილი დისკუსია გვქონდა ევროპის პოლიტიკაზე მიმდინარე პროცესებზე, ევროკავშირის სამეზობლოს ქვეყნების მიმართ ჩვენს პოლიტიკაზე. რასაკვირველია, ქვეყნების ამოცანაა, გახდნენ სრული წევრები, მაგრამ კოლეგებს გულწრფელად ვუთხარი, რომ არ მომწონს ასოცირებული წევრების იდეა. ჩვენ რეალურად მზად ვართ და აქტიურად ვემზადებით, რომ ახალ წევრებს ჰქონდეს აქტივობების შესაძლებლობა, გახდნენ სრულფასოვანი წევრები, რადგან საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი მოქალაქეების მოლოდინებს უკავშირდება და მთავარი არის საზოგადოება, მათ უნდა თქვან, ეს რას ნიშნავს მათთვის, ვინაიდან ყველა კანონი, რომელიც ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე მივიღეთ ევროკავშირში, გავრცელდება საქართველოზე, უკრაინაზე, სერბეთსა, თუ სხვებზე.

ამიტომ მზად უნდა ვიყოთ თანამშრომლობისთვის და ხალხი უნდა აცნობიერებდეს, რას ნიშნავს ევროკავშირის წევრობა. შანსი ძალიან დიდია საქართველოსთვის, რომელიც სწორი მიმართულებით ვითარდება. კითხვა ისაა, ქართველი ხალხი რამდენად აცნობიერებს, ინტეგრაცია რას გულისხმობს. და მეორე მხრივ, ძალიან ღიად უნდა ვთქვათ, რომ ევროკავშირიც უნდა მოემზადოს ამ გაფართოებისთვის, რადგან თავად ინსტიტუციაში იქნება ორგანიზაციული ცვლილებები“, – განაცხადა ჰელმუტ შოლცმა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მოსაპოვებლად:

1. თამაზ გამყრელიძის სახელობის პრემია – ლინგვისტიკის დარგში (3000 ლარი)

2. ევგენი ხარაძის სახელობის პრემია – ფიზიკისა და ასტროფიზიკის დარგში (3000 ლარი)

3. შალვა ნუცუბიძის სახელობის პრემია – ფილოსოფიის დარგში (3000 ლარი)

4. გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია – ქიმიური ტექნოლოგიების დარგში (3000 ლარი)

5. ნიკო კეცხოველის სახელობის პრემია – ბოტანიკის დარგში (3000 ლარი)

6. ლეონარდ დეკაპრელევიჩის სახელობის პრემია – კულტურულ მცენარეთა გენეტიკისა და სელექციის დარგში (3000 ლარი)

7. ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია – ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში (3000 ლარი)

8. კირიაკ ზავრიევის სახელობის პრემია – სამშენებლო მექანიკის დარგში (3000 ლარი)

9. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია – გეოგრაფიის დარგში (3000 ლარი).

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომი, რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ავტორთა ჯგუფის ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

კოლექტიურ ნაშრომში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც რეკომენდაციას გაუწევს წარმომდგენი ორგანიზაცია.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისთვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც ადრე მიენიჭა სახელმწიფო პრემია ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, ამ კონსკურსში არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრემიის მოსაპოვებლად წამოაყენებენ კანდიდატს, უნდა მიუთითონ პრემიის დასახელება.

კონკურსში მონაწილემ საჭიროა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას, მის თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის;

(ნაშრომი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, სამეცნიერო ცენტრების ან შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ).

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები CV); ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა;

დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

ე) საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №52, ოთახი 320.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 2-99-00-52.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

მკითხველი განმარტებას ითხოვს!

სიმწრის სიცილი მთავარსარდლისა...

ჰყავს თუ არა „ქართულ ოცნებას“ სათადარიგო პრეზიდენტი?!

საინტერესოა, თუკი ოპოზიციასთან თანამშრომლობით „ქართულმა ოცნებამ“ ასი ხმა მოაგროვა და პრეზიდენტი თანამდებობიდან გადააყენა, როგორ განვითარდება მოვლენები, მოგვიწევს თუ არა ახალი პრეზიდენტის არჩევა ახალი წესით, ანუ ჰყავს თუ არა „ოცნებას“ სათადარიგო საპრეზიდენტო კანდიდატი?!

წესით, მმართველ გუნდს არ უნდა აწყობდეს ასეთი სცენარი, რადგან გამორიცხული არ არის, კრიჭაში ჩამდგარმა **სალომე ზურაბიშვილმა** ისევ წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა. მართალია, ამ შემთხვევაში, მას წარმატების შანსი არ აქვს, რადგან დასრულდა ის დრო, როცა ზურაბიშვილის სახით მეხუთე და ბოლო პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი გვყავდა, ამიერიდან პრეზიდენტს არაპირდაპირი წესით, ე.წ. ხმოსნები აირჩევენ, რომელთა დაკომპლექტებაც მმართველ გუნდს არ გაუჭირდება.

პრეზიდენტ ზურაბიშვილის პირველი რეაქცია იმპიჩმენტთან დაკავშირებით მხოლოდ და მხოლოდ ღიმილია. ჟურნალისტის კითხვაზე, ელოდება თუ არა იმპიჩმენტს, ზურაბიშვილმა უპასუხა, „თქვენ რას ელოდებით?!“ ოპოზიციონერმა დეპუტატმა **რომან გოცირიძე**მ, როგორც ყოველთვის, უკბილოდ იხუმრა, საქართველოში ჩამოსული **ბორელი** მარჯვენა ყურს აუწევს ხელისუფლებას და ისინიც იმპიჩმენტზე საუბარს შეწყვეტენ.

მანამდე კი ნაციონალები აჟიტირებულნი აკვირდებიან ზურაბიშვილის სოლო პარტიას. ისინი ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტმა „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ნოკდაუნში ჩააგდო და ვიდრე კობახიძე-მდინარაძე იმპიჩმენტისთვის ხელმოწერებს აგროვებდნენ, ქვეყნის მთავარსარდალი მაკრონთან ერთად ელისეის სასახლიდან მიესალმა მმართველ გუნდს. უფრო ადრე კი შეხვდა **შტაინმაიერს, მიშელს**...

„პრეზიდენტს არ უნდა ეგონოს, რომ პატრიარქსა და მთავრობაზე მეტი იცის“, – ერთხელ უკვე მისცა ასეთი გაფრთხილება **ირაკლი კობახიძემ** ზურაბიშვილს, მაგრამ მას მერეც პრეზიდენტი თავისივე დადგენილი წესებით მოქმედებდა.

ვისზე დებს ფსონს „ქართული ოცნება“ ზურაბიშვილის შემდეგ?

ანალიტიკოს **ვახტანგ მაისაიას** მოსაზრებით, თუკი იმპიჩმენტის წესით გადააყენეს პრეზიდენტი ზურაბიშვილი, ახალი პრეზიდენტის არჩევა მოგვიწევს უკვე საარჩევნო კოლეგიის მეშვეობით, რასაც ახალი წესი ითვალისწინებს და პრეზიდენტის კანდიდატურასაც **ბიძინა ივანიშვილი** წამოაყენებს.

„ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი ფსონს დადებს ირაკლი კობახიძეზე, რომლის დარჩენილი რესურსიც, ამოწურული ლიმიტიც „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება საპრეზიდენტოდ გამოიყენოს. ეს იქნება მმართველი გუნდისთვის იდეალური ვარიანტი. როგორც ცნობილია, ხმოსნებს აკომპლექტებს პარლამენტი, ჩვენი პარლამენტი მონოპოლიზირებულია ხელისუფლების მიერ. ამდენად, „ქართული ოცნება“ პარლამენტს მისცემს იმის საშუალებას, ისეთი ხმოსნები დააკომპლექტოს, რომ მათ მხარი დაუჭირონ „ოცნებისთვის“ სასურველ საპრეზიდენტო კანდიდატს“, – აცხადებს ვახტანგ მაისაია და ფიქრობს, რომ „კობახიძეს, ალბათ, გაუშვებენ საპატიო პენსიაზე პრეზიდენტის რანგში. კობახიძე მაინც ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირია და მას მექანიკური ფორთოხლის როლს შეასრულებინებენ“.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** მიიჩნევს, რომ, გარდამავალი დებულებით, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები უკვე ჩატარდება 300 ხმოსნის მეშვეობით, მაგრამ, თუ საპარლამენტო ოპოზიცია დათანხმდა „ქართულ ოცნებას“ და, საბოლოო ჯამში, შეგროვდა ასი ხმა პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის, უფრო დიდი რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მმართველი გუნდი.

„ნაცმოძრაობა“ თავისი ავაზაკობიდან და ვერაგობიდან გამომდინარე, შეეცდება, მომდევნო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ვითომც არალეგიტიმურად და გაყალბებულად გამოაცხადოს, რათა კიდევ ერთხელ შეარყიოს პოლიტიკური ვითარება საქართველოში. ეს მათი მახასიათებელია, მათ სხვა პროგრამა არ გააჩნიათ, გარდა დესტრუქციის, რევანშიზმის და სიტუაციის აღრევის მცდელობისა, მაგრამ ვხედავთ, რომ 2012 წლის შემდეგ მრავალი ასეთი მცდელობა წყალში ჩაუვარდათ“, – აღნიშნა გია აბაშიძემ.

მისივე მოსაზრებით, განურჩევლად იმისა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი წესით ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები, ზურაბიშვილს მაინც არანაირი შანსი არა აქვს, თუნდაც წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა ხელმოწერებით, ან საინიციატივო ჯგუფების მეშვეობით.

მანანა ნოზაძე

ანზორ ჩუბინიძე: პრემიერის მიუნხენში გამგზავრების თანხა კერძო პირმა ტარიელ ღარიბაშვილმა შეიტანა!

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი **ანზორ ჩუბინიძე** აცხადებს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიუნხენში გამგზავრებასთან დაკავშირებით ფულადი შენატანი კერძო პირის, ტარიელ ღარიბაშვილის მიერ განხორციელდა.

„მინდა, საზოგადოებას დავუდასტურო, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის უზრუნველყოფის სააგენტოს ანგარიშზე გაკეთებულია შენატანი, რომელიც უზრუნველყოფს თბილისი-მიუნხენი-თბილისის რეისთან დაკავშირებულ ხარჯებს. შენატანი გაკეთებულია კერძო პიროვნების მიერ და ეს თანხა არის 34 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში. თანხა წინსწრებით გადახდილია და შესაბამისად, სავარაუდოა, შესაძლებელია იგი მცირედით დაკორექტირდეს მას შემდეგ, რაც ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ დაახლოებით თვენახევარში წარმოგვიდგენს დეტალურ ხარჯთაღრიცხვას. წარმოდგენისთანავე ჩვენ მოვახდენთ ანგარიშსწორებას. გადახდილი თანხა სრულად უზრუნველყოფს მიმდინარე ხარჯს და არის გარკვეული ფასნამატიც.

რაც შეეხება საბიუჯეტო გადასახადებს, საზოგადოებას მინდა, დავუდასტურო, რომ საწყის ეტაპზე, დავალების მიცემის მომენტში, ნათლად იყო მითითებული, რომ ანგარიშსწორება მოხდებოდა არასაბიუჯეტო სასხსრებიდან. საზოგადოებას დღეს ვუდასტურებ, რომ ანგარიშსწორება განხორციელდა კერძო პიროვნების მიერ და ეს პიროვნება ტარიელ ღარიბაშვილია“, – განაცხადა ანზორ ჩუბინიძემ.

ცნობისთვის: 11 სექტემბერს პარტია “ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა გენერალურ პროკურატურაში განცხადება შეიტანეს. ისინი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის გამოძიების დაწყებას მოთხოვენ სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით. ამასთან, პარტია „ლელო“ პრემიერ-მინისტრის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას გეგმავს. ინიციატივა ეყრდნობა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში გასულ საგამოძიებო სიუჟეტს, რომელიც პრემიერ-მინისტრისა და მისი ვაჟის ჩარტერული რეისით მგზავრობას უკავშირდება.

საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა განმარტა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ჩარტერული რეისით თბილისიდან ევროპის ერთ-ერთი ქალაქის მიმართულებით გაემგზავრა, ხოლო, იქიდან აშშ-ის მიმართულებით – რეგულარული რეისით. ფრენის საფასური პრემიერ-მინისტრმა თავად გადაიხადა.

ბრიტანეთი საზღვრების კონტროლს აძლიერებს

საქართველოს საგარეო უწყება ბრიტანეთის მიერ საზღვრების კონტროლის გაძლიერებისა და აეროპორტში ტრანზიტული გავლისას ვიზის ვალდებულების შემოღების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

„დიდ ბრიტანეთში გამკაცრებული მიგრაციული პოლიტიკის გათვალისწინებით, ქვეყანამ გააძლიერა საზღვრების კონტროლი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 8 სექტემბრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის აეროპორტში ტრანზიტული გავლისას შემოღებულ იქნა ვიზის მიღების ვალდებულება (DATC). აღნიშნული კატეგორიის ვიზა საჭიროა მაშინ, როდესაც პირი

მიემგზავრება მესამე ქვეყანაში, დიდ ბრიტანეთში იცვლის ფრენას და არ გადის სასაზღვრო შემოწმებას“, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაში.

საგარეო უწყებაში ასევე აღნიშნავენ, რომ გამკაცრებული საემიგრაციო პოლიტიკის გამო, გაერთიანებულ სამეფოს სატრანზიტო ვიზის რეჟიმი შემოღებული აქვს 100-ზე მეტ ქვეყანასთან, მათ შორის, ისეთ ქვეყნებთან, როგორებიც არის: მოლდოვა, უკრაინა, თურქეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, სამხრეთ აფრიკა, ჩინეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, მონტენეგრო, ბოსნია და სხვა.

შეღავათიანი სავიზო რეჟიმი ჩინეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩინეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის შეღავათიანი სავიზო რეჟიმის ამოქმედების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

საგარეო უწყების ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებისა და ჩინეთში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის შეღავათიანი სავიზო რეჟიმი 2023 წლის 11 სექტემბრიდან ამოქმედდა.

„ახალი რეგულაციის თანახმად, ჩინეთის მოქალაქეები და ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირები საქართველოში უვიზოდ შემოსვლას და ქვეყნის ტერიტორიაზე 30 დღის განმავლობაში ყოფნას შეძლებენ“, – აღნიშნულია საგარეო უწყების ინფორმაციაში. რეგულაცია 2023 წლის 11 სექტემბრიდან ამოქმედდა.

ნუ დაეყრდნობით გადაუმოწმებელ ინფორმაციას

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, აშშ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების თემაზე გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა.

„თავდაცვის სამინისტრო ეხმიანება მედიაში გასულ ინფორმაციას, რომელიც შეეხება აშშ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების თემას და შინაარსობრივად წარმოადგენს სრულ სიცრუეს. აღნიშნული ინფორმაცია ვრცელდება პოლიტიკურად მიკერძოებული პირის მიერ, რომელიც შემდგომ ცალკეული მედიასაშუალებებისა და პოლიტიკურად ანგაჟირებული პირების მიერ გამოყენებულია დეზინფორმაციული კამპანიის საწარმოებლად. მოვუწოდებთ საზოგადოებას დაეყრდნონ გადამოწმებულ ინფორმაციას, განსაკუთრებით ასეთი მნიშვნელობის თემატიკის განხილვისას“, – ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

დიდაჭარის კაშხალი სტრუქტურულად მდგრადი და უსაფრთხოა

გოლო დღეების განმავლობაში მედიაში, დიდაჭარის კაშხალთან დაკავშირებით გასული ინფორმაციის გათვალისწინებით, გვინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ დიდაჭარის კაშხალი სტრუქტურულად მდგრადია, უსაფრთხოა ექსპლუატაციის მიმართულებით და სრულ შესაბამისობაშია ქართულ და საერთაშორისო სტანდარტებთან, – ამის შესახებ ნათქვამია „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, 2017 წლის დასაწყისში აგებული დიდაჭარის კაშხალი პასუხობს ყველა საერთაშორისო ტექნიკურ მოთხოვნას, ხოლო ყველა კონსტრუქციას, წინასწარ გაწერილი განრიგისა და პროცედურების შესაბამისად უტარდება რუტინული მომსახურების სამუშაოები.

„ბეტონის დიდი კონსტრუქციები აშენებულია კონკრეტული თანმიმდევრობით, ცალკე მდგარი სექციების სახით, სადაც უზრუნველყოფილია სივრცე გაფართოებისა და შეკუმშვის პროცესებისთვის, რომლებიც გამოწვეულია ტემპერატურის ცვალებადობით. დასაშვები ოდენობით, წყლის მცირე ფილტრაცია ჩვეულ მოვლენას წარმოადგენს და მისი აღმოფხვრა ხდება რუტინული მომსახურების დროს. დამატებითი ზომის სახით „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ დაიქირავა საერთაშორისო კაშხლის სპეციალისტები რომელთა მოვალეობებში შედის კაშხლის უსაფრთხოების და მდგრადობის შემოწმება და კაშხლის კონსტრუქციაზე დამატებითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

2023 წლის იანვარ-მარტის პერიოდში, კაშხლის სპეციალისტებმა დიდაჭარის კაშხალზე განახორციელეს დეტალური შეფასება, გადაამოწმეს შესაბამისი მონაცემები და მოამზადეს დასკვნა, რომლის თანახმადაც კაშხლის კონსტრუქცია უსაფრთხოა, ხოლო წყლის გამონადენი კაშხალზე დიზაინით გათვალისწინებულ საზღვრებშია. „აჭარისწყალი ჯორჯია“ კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ დიდაჭარის კაშხალი და მასთან დაკავშირებული ყველა ნაგებობა სათანადო საექსპლუატაციო მდგომარეობაშია, ასევე ხორციელდება გეგმური მონიტორინგი. შესაბამისად, კაშხლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შესაძლო შეშფოთებას არავითარი საფუძველი არ გააჩნია“, – ნათქვამია განცხადებაში.



ეკონომიკური ბაქიბუქი ეჭვის ქვეშ თანხლებით...

საქართველო ნელსაც საინვესტიციო რეკორდზე მიდის!

საინვესტიციო ნახტომები გრძელდება. მეორე კვარტალის მონაცემებმა ეს ოფიციალურადაც დაადასტურა. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2023 წლის მე-2 კვარტალში 505.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2022 წლის მე-2 კვარტლის დაზუსტებულ მონაცემებზე 29.9 პროცენტით მეტია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2023 წლის მე-2 კვარტალში სააქციო კაპიტალი, წინა წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით 23.3 პროცენტით შემცირდა და 72.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 14.4 პროცენტია. რეინვესტიციამ 422.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მისი წილი 83.5 პროცენტით განისაზღვრა.

პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო – 168.3 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 33.3 პროცენტს შეადგენს, მეორე ადგილზე იმყოფება თურქეთი – 71 მლნ აშშ დოლარით (14 პროცენტი), ხოლო მესამეზე ნიდერლანდები – 62.7 მლნ აშშ დოლარით (12.4 პროცენტი). ხუთი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 78 პროცენტს შეადგენს.

2023 წლის მე-2 კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში განხორციელდა და 255.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50.6 პროცენტია. მეორე ადგილს იკავებს ენერგეტიკის სექტორი – 137.2 მლნ. აშშ დოლარით (27.1 პროცენტი), ხოლო მესამეზე იმყოფება დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 35.6 მლნ. აშშ დოლარით (7 პროცენტი).

ეკონომისტების დიდი ნაწილი საინვესტიციო მონაგარს ერთმნიშვნელოვნად დადებითად აფასებს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც ეჭვის ჭია მაინც არ ასვენებთ. ფინანსისტი **გიორგი ცუცქირიძის** აზრით, საინტერესოა თავად ინვესტიციების სტრუქტურა, როგორც მოცულობის, ასევე ბოლო წლების დინამიკის და გეოგრაფიული არეალის თვალსაზრისითაც.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს, საგარეო სავაჭრო ბრუნვასთან ერთად. გარდა იმისა, რომ უშუალოდ მონაწილეობს ეკონომიკური ზრდის კონტრიბუციაში, აჩვენებს ინვესტორთა მოლოდინს ქვეყნის განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ეს გრძელვადიან საინვესტიციო დაბანდებებს ეხება, რაც აისახება რეინვესტირების მაჩვენებელში და სააქციო კაპიტალში შენატანების ზრდის დინამიკის კონტექსტში.

ქვეყნების მიხედვით მიმდინარე წლის პირველ ორ კვარტალში ლიდერობენ დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირის ქვეყნები აშშ-სთან და იაპონიასთან ერთად. 2023 წლის პირველ ნახევარში ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია ნიდერლანდებიდან (30.6% – 327.8 მლნ. აშშ. დოლარი) განხორციელდა, შემდეგ მოდის თურქეთი (13.3% - 142.9 მლნ. აშშ დოლარი), გაერთიანებული სამეფო (13.3% – 142.5 მლნ. აშშ დოლარი), იაპონია (6.9% – 73.7 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (6.7% – 71.4 მლნ. აშშ დოლარი).

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მეორე კვარტალში წინა წლის მეორე კვარტალთან შედარებით 20.5%-ით არის გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროკავშირიდან და 175.1 მლნ. აშშ დოლარს – მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 34.6%-ს შეადგენს, ხოლო ორი კვარტალის ჯამში ევროკავშირიდან ინვესტიციები 2.5%-ით გაიზარდა და 461.3 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც მთლიანი ინვესტიციების 43.0%-ია!

მიმაჩნია, რომ ეს მაჩვენებლებიც რეალურს ხდის ევროკავშირის კანდიდატი სტატუსის მიღებას ოქტომბერში, ხოლო 2030 წლისათვის ევროკავშირში სრული ინტეგრაციის პერსპექტივასთან ერთად და აჩვენებს ქვეყნის შეუქცევად ინტეგრაციას ევრო-ატლანტურ სივრცეში.

შედარებისთვის: მთლიან ინვესტიციებში რუსული კაპიტალის წილი მხოლოდ 5%-ია, რაც რეალურად აცლის ყოველგვარ არგუმენტს ოპოზიციურ ნარატივს, რუსული კაპიტალის ექსპანსიაზე ბოლო წლებში და განსაკუთრებით, ეს გასულ წელს ეხება“, – აღნიშნა ცუცქირიძემ.

არის სკეპტიკური შეხედულებებიც – PPMC კვლევითი ცენტრის დირექტორი **გიორგი ხიშტოვანი** ამბობს, რომ საქართველოს რეალობაში რეინვესტიციის გაზრდილი მაჩვენებელი შეიძლება სულაც არ უკავშირდებოდეს ინვესტორისთვის საინტერესო ბიზნესგარემოს, რადგან რეინვესტირების წილი ისედაც ისეთ სექტორზე მოდის, სადაც მოგების მარჯა საქართველოში ყველაზე მაღალია.

„კარგი მოვლენაა რეინვესტირებაც, იმიტომ, რომ ბიზნეს გარემო, იმ ბიზნესებს, რომლებიც ოპერირებენ საქართველოში და უცხოელების საკუთრებაში არიან, საფუძველს აძლევს, რომ დატოვონ თანხები საქართველოში. მეორე მხრივ, უნდა აღვნიშნოთ კომპოზიცია - რეინვესტირების დიდი ნაწილი მოდის საფინანსო სექტორზე. ჩვენ ვიცით, რომ ბოლო ორი წელია საფინანსო სექტორი რეკორდულ მოგებაზეა, აქედან გამომდინარე, ასე ხმამაღლა ძნელია ვისაუბროთ იმაზე, რომ ქვეყანაში არის იდეალური ბიზნეს გარემო რეინვესტირებისთვის, რადგან რეინვესტირებული თანხების სექტორული ჩაშლა ძალიან ცალმხრივია“, – განაცხადა ხიშტოვანმა.

ნიშანდობლივია, რომ 2023 წლის მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითქმის 30%-ით გაიზარდა და 505.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მეორე კვარტალების მონაცემებს შორის ბოლო 15 წლის ისტორიული მაქსიმუმია, ხოლო 2023 წლის პირველ ორ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა წინა წელთან შედარებით 10.9%-ით გაიზარდა და 1,072.1 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, და რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია, წინა პანდემიურ 2019 წელთან შედარებით ზრდა 88.7%-ს შეადგენს!

ბექა დანელია

კვალი დროში – 80

აკადემიკოს რამაზ ქაცარავას დიდი სამეცნიერო თვალსაზრისი

ნოვატორი მედიცინაში, ბიოინჟინერიაში, სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში

გამოჩენილი ქიმიკოსი, აკადემიკოსი რამაზ ქაცარავა დაიბადა 1943 წლის 15 სექტემბერს. მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა (1960-1966 წ.წ). 1966-1973 წლებში იყო მოსკოვის დ.ი. მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტი და მეცნიერ-თანამშრომელი. 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1988 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1974-1986 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტების უფროს მეცნიერ თანამშრომლად;

1986-1998 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის დამაარსებელი და ხელმძღვანელია. 2013 წლიდან დღემდე აგრარული უნივერსიტეტის ქიმიისა და მოლეკულური ინჟინერიის ინსტიტუტის დირექტორია. ამავდროულად არის საქართველოს ტექნიკური და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების მოწვეული პროფესორი.

აკად. რ. ქაცარავას მიერ შემუშავებულია პოლიმერების სინთეზის ორიგინალური, მესამე თაობის პოლიკონდენსაციური მეთოდები – ე. წ. „აქტივირებული პოლიკონდენსაცია“, რომლებმაც მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება, აქტიურად გამოიყენება სხვა მკვლევართა მიერ და ლიტერატურაში მოიხსენიება „ქაცარავას მეთოდის“ სახელწოდებით. ასევე რ. ქაცარავას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი პოლიკონდენსაციის მეორე ახალი და მნიშვნელოვანი მეთოდის, ე.წ. „სილილური პოლიკონდენსაციის“, უნიკალური კომბინაციის – „აქტივირებულ-სილილური“ პოლიკონდენსაციის შექმნასა და განვითარებაში. ეს უნიკალური მეთოდები წარმატებით გამოიყენეს სხვადასხვა ქვეყნების მკვლევარებმა საკუთარი სინთეზური ამოცანების გადასაჭრელად.

სინთეზის შემუშავებულ ორიგინალურ მეთოდებზე დაყრდნობით, ბუნებრივი ამინომჟავების, როგორც საშენი ბლოკების, საფუძველზე რ. ქაცარავამ მიიღო მრავალი სხვადასხვა კლასის უნიკალური ბიოდეგრადირებადი პოლიმერი, შექმნა ამინომჟავური პოლიმერების ახალი ქიმია. დღეს ამ პოლიმერებს - ცილების ბიომიმეტიკებს, ფსევდოპროტეინებს უწოდებენ. ფსევდოპროტეინებს, რომლებიც გამოირჩევიან მრავალი დადებითი თვისებით ბუნებრივი ცილებისგან (როგორებიცაა, მაგალითად, კოლაგენი და სხვ.), პირველ რიგში არაიმუნოგენურობით, უსაფრთხოებით და სამასალე თვისებათა გაცილებით ფართო სპექტრით, აქვთ უდიდესი პრაქტიკული ღირებულება მედიცინაში, ბიოინჟინერიაში, სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში გამოყენების თვალსაზრისით.

აკად. რ. ქაცარავას შრომების ინოვაციურ ხასიათზე მეტყველებს 30 სსრკ საავტორო მოწმობა, 12 ქართული პატენტი, 16 ამერიკული და 2 ჩინური პატენტი, 6 PCT განაცხადი (სულ 66 გამოგონება). შემუშავებული ახალი ტექნოლოგიებიდან 3 გაიყიდა აშშ-ში, განხილვის პროცესშია კიდევ ერთი ტექნოლოგიის გაყიდვა. დღეისთვის მას გამოქვეყნებული აქვს 490-ზე მეტი შრომა, მათგან დიდი ნაწილი წამყვან იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, მრავალი მიმოხილვითი სტატია და თავები უცხოეთში გამოცემულ წიგნებში, ავტორია საქართველოში გამოცემული სამი სახელმძღვანელოსი. რ. ქაცარავას შრომები ციტირებულია უცხოელი ავტორების მრავალ სტატიასა და მონოგრაფიაში, მათ აქვთ ციტირების მაღალი ინდექსი (3776, h-ინდექსი 29, i10 ინდექსი 57, Google Scholar 2023 წლის 26 ივლისის მდგომარეობით). შედეგები შეტანილია მაღალმოლეკულურ ნაერთთა საუნივერსიტეტო კურსებში. მნიშვნელოვანია ასევე პროფ. რ.ქაცარავას წვლილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში – მას აღზრდილი ჰყავს მრავალი სტუდენტი, 34 მაგისტრი, 36 მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი და აკადემიური დოქტორი. მისი მოწაფეები დღეს წარმატებით მოღვაწეობენ უცხოეთში, მის მიერ დაკვალიანებული მრავალი სტუდენტი აგრძელებს სწავლას ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში.

ფართოა აკად. რ. ქაცარავას საერთაშორისო კონტაქტები – იგი აქტიურად თანამშრომლობს ევროპის (გერმანიის, ესპანეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, დიდი ბრიტანეთის), აშშ, კანადის, იაპონიის, ჩინეთის და თურქეთის წამყვან მეცნიერებთან. აკად. რ.ქაცარავა არის მრავალი საერთაშორისო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და რეცენზენტი, 20-ზე მეტი საქართველოსა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების წევრი. 2022 წლიდან არის საქართველოს სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომისიის წევრი.

აკად. რ. ქაცარავას მოღვაწეობის პიონერულ ხასიათსა და კვლევების საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს მის მიერ მიღებული 82 საერთაშორისო და ეროვნული გრანტი, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციის (WIPO) ოქროს მედალი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და ქიმიური საზოგადოების სიგელები.

აკად. რ. ქაცარავამ გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში და აღიარებულია საქართველოს 2017 წლის საუკეთესო მეცნიერად. ფსევდოპროტეინების სფეროში ჩატარებული პიონერული კვლევებისათვის აკად. რ. ქაცარავა დაჯილდოებულია სვანტე არენიუსის პრიზით.

რ. ქაცარავას მიერ შექმნილი ინოვაციური ბიოსამედიცინო მასალები დაჯილდოებულია მერკურის პრიზით.

მეცნიერებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. 2021 წელს მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემია მეცნიერების დარგში.

აკად. რ.ქაცარავა წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს საფრანგეთის, იაპონიის, აშშ-ის, გერმანიის, თურქეთისა და შვეიცარიის სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში. გაკეთებული აქვს 125-ზე მეტი სამეცნიერო მოხსენება საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, გამოქვეყნებული აქვს 490-ზე მეტი პუბლიკაცია, არის 66 გამოგონების მფლობელი.

აკად. რ. ქაცარავას ხელმძღვანელობით მიღებული სამედიცინო დანიშნულების პოლიმერული მასალები – ფსევდოპროტეინები და მათ საფუძველზე შექმნილი პრეპარატები დანერგილია როგორც საქართველოში – „პოლიმერფარმი“, Polymer Solutions, Iveria Biopolymers, ასევე საზღვარგარეთ – MediVas, SurModics, Intralytix და Precisio Biotix Therapeutics (აშშ), Royal DSM (ჰოლანდია).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

ახალგაზრდობა... შერიგებისა და მშვიდობის გარანტი

თეა ახვლედიანი ანაკლიის მანაკში 250-მდე ახალგაზრდას შეხვდა. მინისტრმა ახალგაზრდების წინაშე სიტყვით გამოსვლისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უწყების კომპეტენციაში შემავალი როგორც შერიგებისა და ჩართულობის, ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის პრიორიტეტების მნიშვნელობის განმარტებას.

როგორც გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ახალგაზრდებთან ინტენსიური კომუნიკაციისა და ფართომასშტაბიანი თანამშრომლობისთვის მინიჭებული როლის გათვალისწინებით, თეა ახვლედიანმა ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს პროცესებში ახალგაზრდა თაობის ჩართულობის პერსპექტივებს და შესაძლებლობებს გაუსვა ხაზი. საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა. დასასრულს სახელმწიფო მინისტრმა მანაკის მონაწილე 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და წარმატებები უსურვა. ახალგაზრდული მანაკი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ფუნქციონირებს და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ საკვანძო კომპეტენციების განმავითარებელ, რეკრეაციულ, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებში.

გორელმა ბავშვებმა „დედა ენა“ და „გოგებაშვილი“ დაიპყრეს

გორელი ახალგაზრდებისთვის სტეფანწმინდაში ალპინისტური ექსპედიცია მოეწყო.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში ბიისის საზაფხულო ბანაკის მონაწილე ის აქტიური ახალგაზრდები ჩაერთნენ, რომლებიც განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ მოგზაურობითა და ალპინიზმით.

ექსპედიციის წევრებმა დაათვალიერეს სტეფანწმინდა, დარიალის ხეობა, გერგეთის სამების ეკლესია, ალპინიზმის მუზეუმი. გარდა ამისა, ახალგაზრდები შეხვდნენ ცნობილ ალპინისტებს, ნახეს დოკუმენტური ფილმები ქართული ალპინიზმისა და ქართველი ალპინისტების შესახებ.

საუკეთესო მუზეუმელები

საქართველოს მუზეუმელთა მეორე ასამბლეას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ნინო ჭიპაშვილი და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილე ნიკა ახალგედაშვილი, საქართველოს მუზეუმელთა ალიანსის წევრები და დელეგატები ესწრებოდნენ.

ასამბლეაში საქართველოს 70-ზე მეტი მუზეუმის 500-ამდე თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ მეორე ასამბლეაზე საქართველოს ყველა რეგიონია წარმოდგენილი, როგორც კულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი, ისე რეგიონული და კერძო მუზეუმებიდან.

ღონისძიებაზე საზეიმოდ გამოვლინდა სამი „საუკეთესო მუზეუმელი“, რომელთაც კულტურის სამინისტროს მიერ 2022 წელს დაფუძნებული უწყებრივი ჯილდო გადაეცათ. ვერცხლის სამკერდე ნიშანთან ერთად საუკეთესო მუზეუმელებს გადაეცათ ფულადი ჯილდოც. 2023 წლის საუკეთესო მუზეუმელები არიან: ავთანდილ ფაილოძე - ა(ა)იპ ხონის ისტორიული მუზეუმის ირაკლი აბაშიძის სახლ-მუზეუმის გამგე.

ქემალ თურმანიძე – ბათუმში ეთნოგრაფიული მუზეუმის „ბორჯღალო“ დამფუძნებელი და დირექტორი.

მარიამ ინანაშვილი – საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სიღნაღის მუზეუმის მმართველი.

ასამბლეაზე შეკრებილებს საქართველოს კულტურის მინისტრმა მიმართა. თეა წულუკიანმა შეაჯამა სამუზეუმო წელი, ისაუბრა დარგში მიმდინარე პროცესებზე, ახალ პროექტებსა და გამოწვევებზე. შეკრებილებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ.

ასამბლეაზე ასევე კულტურის სამინისტროს მიერ 2021-2023 წლებში საქართველოს ხელოვნების სასახლისათვის შეძენილი ექსპონატებისადმი მიძღვნილი ფერადი, ორენოვანი კატალოგის პრეზენტაცია და შალვა ამირანაშვილის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის მცველის – ელენე კავლელიშვილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის პრემიერა გაიმართა.

რეცენზია წიგნზე „რელიგიური ტურიზმი“

რელიგიური ტურიზმი რენესანსს განიცდის

(პირველი გვერდიდან)

პირველ ნაწილში განხილულია მომლოცველობისა და რელიგიური ტურიზმის განსაზღვრა თანამედროვე მეცნიერებაში, რელიგიური ტურიზმის ფორმები და მიმართულებები, მომლოცველობის ისტორიული ასპექტები, რელიგიური ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, რელიგიური ტურიზმის საერთაშორისო მახასიათებლები, რელიგიური ტურიზმის სამართლებრივი ასპექტები, რელიგიური ტურიზმი სხვადასხვა რელიგიაში.

ყურადღება გამახვილებულია მსოფლიოში მომლოცველობის ძირითად რეგიონებზე, ტურისტული რელიგიური ობიექტების მენეჯმენტის პრობლემატიკაზე, რელიგიური ტურიზმის მარკეტინგის მსოფლიო გამოცდილებაზე.

წიგნის **მეორე ნაწილში** წარმოდგენილია რელიგიური ტურიზმის მართლმადიდებლური საფუძვლები საქართველოში – საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, პატრიარქები და ეპარქიები, საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია, საქართველოში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების თანამედროვე მდგომარეობა, თანამედროვე მართლმადიდებელი ეკლესიის დიალოგი და პრინციპები სხვა კონფესიების მიმართ. ყურადღება გამახვილებულია საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურისა და რელიგიის ძეგლებზე, მომლოცველთათვის მნიშვნელოვან და სანახაობრივ სახალხო-რელიგიურ დღესასწაულებზე საქართველოში, თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობაზე რელიგიური ტურიზმის განვითარებაში.

წიგნის მესამე ნაწილში განხილულია რელიგიური ტურიზმის გავლენა ქვეყნის და რეგიონების განვითარებაზე, საქართველოში არსებული მსოფლიო და ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ქართული ძეგლები, წმინდა ადგილები და მაკურნებელი წყაროები, როგორც რელიგიური ტურიზმის მიმზიდველობის ადგილი. ყურადღება გამახვილებულია რელიგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებზე საქართველოში, განხილულია პილიგრიმობა წმინდა ქართველ მეფე-დედოფალთა და მთავართა ნაკვალევზე, საერთაშორისო პილიგრიმული ტურისტული მარშრუტები და მათი მნიშვნელობა ქვეყნის ცნობადობის ამაღლებაში – წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზა, რელიგიური ტურიზმის რესურსების შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები და გამოყენების ტერიტორიული ასპექტები, საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების პრობლემები და გაუმჯობესების გზები.

ავტორის თვალთახედვით თანამედროვე მსოფლიოში რელიგიური ტურიზმი რენესანსს განიცდის, სულ უფრო პოპულარული ხდება სამომლოცველო მოგზაურობები. მისი განვითარების დადებითი დინამიკით დასტურდება რელიგიური, ეკონომიკური და ტურისტული მნიშვნელობა.

„ტურიზმი და რელიგია“ თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. რელიგიური ტურიზმის შესამჩნევმა განვითარებამ ბოლო 30 წლის განმავლობაში მომლოცველობას ძველი დიდება დაუბრუნა, რამაც თავის მხრივ მილიონობით ადამიანი დააკავშირა ერთმანეთთან. რელიგიური ტურიზმი ვითარდება არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა კონფესიის მორწმუნეთა პილიგრიმულ მარშრუტებში შედიოდა საბერძნეთი, საქართველო, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ისრაელი, პალესტინა, იორდანია, რუსეთი, იტალია, ინდოეთი.

ძლიერია მომლოცველობის ტრადიცია მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რელიგიაში. IV საუკუნიდან ქრისტიანობაში მომლოცველობა მკვიდრდება როგორც საკულტო მოქმედების ერთ-ერთი სახე. სამომლოცველო მოგზაურობები ქრისტიანების ცხოვრებაში დიდ ადგილს იკავებდა და იკავებს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ქრისტიანულ რელიგიაში დიდი ხანია არსებობს მომლოცველობის ტრადიცია, აგრეთვე პოპულარულია მომლოცველების მიერ რელიგიური ობიექტების სტუმრობა.

სამომლოცველო ტურიზმი არის რელიგიური ფენომენი, რომელიც დღემდე არსებობს მსოფლიო ძირითად რელიგიებში. მომლოცველობას მოჰყვება ძლიერი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური შედეგები, რომლებიც ხშირად, გაუმართლებლად, შეისწავლება ტურიზმთან კავშირის გარეშე. მომლოცველობა ასევე დამატებით იმპულსს აძლევს ვაჭრობას, კულტურულ ურთიერთობებს, პოლიტიკურ ინტეგრაციას. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ დღეს-დღეობით მომლოცველობით დაინტერესებულნი არიან მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები – ისტორიკოსები, თეოლოგები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ანთროპოლოგები, ეკონომისტები, გეოგრაფები, ბიოლოგები, ეკოლოგები და სხვ.

წარსულში უცხოეთში დარჩენილი გარკვეული პროცესები საქართველოში მხოლოდ ახლა იჩენს თავს, განსაკუთრებით ეს ითქმის რელიგიური და მომლოცველობითი ტურიზმის სფეროში.

ქრისტიანული მომლოცველობის სპეციფიკას განსაზღვრავს მორწმუნეების რელიგიური ცნობიერება, რომელიც, – თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია ქრისტიანულ საკულტო პრაქტიკასთან, – მომლოცველების მთავარ მისწრაფებას, მოტივაციას წარმოადგენს: რელიგიური ობიექტების ან რელიგიური დღესასწაულების ხილვა, მასში მონაწილეობა; წმინდა ადგილების, ტაძრების, წმინდა ნაწილების თაყვანისცემა; სულიერი სრულყოფა, სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღება, ასევე სასურველია მონაწილეობა მიიღოს და შეასრულოს საეკლესიო-სამშენებლო სამუშაოები, გაიღოს შესაწირი, აგრეთვე ეს შეიძლება იყოს სურვილი ავადმყოფობისგან განკურნების, შეასრულოს უფლისადმი ან წმინდანისადმი მიცემული აღთქმა.

მომლოცველობა და მორწმუნეთა მასობრივი თავყრილობები ხელს უწყობს და ამტკიცებს ხალხთა შორის მშვიდობას და თავად ტურიზმსაც ეხმარება იქცეს „სოლიდარობის ტურიზმად“.

ავტორი აღნიშნავს, რომ მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტები რელიგიურ ტურიზმს XXI საუკუნის ტურიზმის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად მიიჩნევენ. დაახლოებით 90 პროცენტი ისტორიულ-კულტურული ობიექტებისა მთელ მსოფლიოში წარმოადგენს ტურისტულ ინტერესს და მათ პირდაპირი კავშირი აქვთ რელიგიასთან, ამიტომ აუცილებელია რელიგიური ტურიზმის როლის გაგება, განსაზღვრა საზოგადოების ცხოვრებაში, უნდა გამოვლინდეს მისი პოტენციალი, უნდა იყოს მიღებული ზომები მისი განვითარების და ოპტიმიზაციისათვის, რათა გარკვეული იყოს მისი როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

ავტორი რელიგიური ტურიზმის განვითარების ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს: სახელმწიფოსა და ეკლესიის, ასევე, საზოგადოებრივი, კომერციული და რელიგიური ორგანიზაციების ერთობლივი და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად, შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ რელიგიურმა ტურიზმმა განავითაროს და განამტკიცოს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ადამიანებსა და სხვადასხვა ტრადიციული კონფესიების წარმომადგენლებს შორის ურთიერთპატივისცემა. ასევე ქვეყნის ცალკეულ კუთხესა და სხვადასხვა ქვეყანას შორის ურთიერთგაგება, რაც თავის მხრივ მიგვიყვანს სოციალური დაძაბულობის და დაპირისპირებების შემცირებამდე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელ დღეს ტრადიციული ღირებულებების, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მათი მომავალი თაობებისთვის გადაცემა ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია გადაწყდეს რელიგიური ტურიზმის განვითარების გარეშე.

სულიერი აღზრდის თვალსაზრისით, ეს ეხება არამხოლოდ ახალგაზრდობას, რელიგიური ტურიზმი არის შედარებით ხელმისაწვდომი და დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის სულიერ და ემოციურ მხარეზე.

დღითი დღე მატულობს უცხოელთა დაინტერესება ჩვენი ქვეყნის რელიგიური რესურსებით. საქართველოს უნიკალური კულტურულ-ისტორიული ერთიანობა, რომელმაც შეითავსა თავის თავში კულტურული ღირებულებები: არქიტექტურის ძეგლები, ხალხური კულტურა, ტრადიციები, მუსიკალური და სამხატვრო ხელოვნება,უძველესი და თანამედროვე ინჟინრული ნაგებობები, მეცნიერება, ისტორიულ-ეთნიკური და ბუნებრივი გარემო, ქმნის რელიგიური ტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს, მაგრამ ჯერჯერობით, ამ პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოყენებული.

ავტორის აზრით, მხოლოდ ერთობლივი თანამშრომლობით ექნება რელიგიურ ტურიზმს შესაძლებლობა განვითარებისა და საფუძველი იმისა, რომ უფრო მეტი დადებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოების კულტურულ და რელიგიულ დიალოგზე.

„რელიგიური ტურიზმის“ წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს ამავე ავტორის მიერ გამოცემულ (რელიგიური ტურიზმი, 2018 წ.) შევსებულ და გადამუშავებულ გამოცემას.

მონოგრაფიაში გამოყენებულია, როგორც კლასიკური ლიტერატურა რელიგიის, კულტურის, ტურიზმის, ისტორიისა და რელიგიური ტურიზმის შესახებ, ასევე უახლეს პერიოდში გამოცემული ნაშრომები. გათვალისწინებულია უცხოელი და ქართველი სპეციალისტების, მათ შორის, ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული შრომები და განხორციელებული კვლევები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცემული სამეცნიერო ნაშრომები.

მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ თუ ეპარქიებში შეიქმნება სამომლოცველო სამსახურები და ისინი ორგანიზებას გაუწევენ მართლმადიდებელი მორწმუნეების მიერ ადგილობრივი და საზღვარგარეთ მდებარე სიწმინდეების მონახულებას, როგორც წესი, სამომლოცველო სამსახურები დაკავებულები არიან მომლოცველთა მიღებით. მათი უმთავრესი დანიშნულებაა მიიღონ და ყოველივე აუცილებელით უზრუნველყონ მომლოცველები და შესაძლებლობა მისცენ ეთაყვანონ მონასტრის სიწმინდეებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მომლოცველებს გააცნონ მონასტრის ისტორია.

სამომლოცველო სამსახური არამც და არამც არ არის ტურისტული ფირმა, რადგან ის შეიძლება იყოს მხოლოდ ეკლესიის ნაწილი. სამომლოცველო სამსახური ორ ნაწილად იყოფა: 1. ესაა სამომლოცველო მგზავრობების ორგანიზება და 2. სამსახური, რომელიც თავად იღებს მომლოცველებს, მათ შორის ტურისტებსაც.







ავტორი აღნიშნავს, რომ მომლოცველთა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და მართლმადიდებლური მოლოცვის სულიერი მოთხოვნილებები, საკმაოდ ხშირად, კომერციული ორგანიზაციების მხრიდან იგნორირებულია. ტურისტული ფირმების მთავარი მიზანი ფულის გამომუშავებაა, მაშინ, როცა სამომლოცველო სამსახურის მთავარი მისწრაფება რელიგიური განათლების მიცემა და მორწმუნის რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა (თუმცა, ეს არ გამორიცხავს მომლოცველის მხრიდან გარკვეული გასამრჯელოს ნებაყოფლობით გადახდას – ეკლესიისთვის, მონასტრისთვის შემოწირულობის სახით) მათი ფუნქციები ერთმანეთისგან განსხვავებულია და ორივე სამსახურმა თავთავიანთი საქმე უნდა აკეთოს.

სამომლოცველო სამსახურის თანამშრომელი უნივერსალური განათლებით უნდა გამოირჩეოდეს. ის კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული მართლმადიდებლურ წესებში. იცოდეს ისტორია და იყოს კარგი ფსიქოლოგი, რადგან ადამიანები, რომლებიც ეკლესიებში თავიანთი პრობლემებით მიდიან, მაგრამ არ იციან როგორ დაამყარონ კონტაქტი მოძღვართან, სწორედ მან უნდა დააკავშიროს ისინი ერთმანეთთან. მას შეიძლება ხშირად უწევდეს იმის მოსმენა, რასაც მოძღვარს აღსარებაზე ეუბნებიან. საქმის ამგვარი სირთულე მოითხოვს სამომლოცველო სამსახურის თანამშრომლების სპეციალურ განათლებას.

ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია (სათანადოდ გადამზადების შემდეგ) ეკლესიებსა და მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირებმა თავად გაუწიონ მომსახურება მომლოცველებს, ვინაიდან მათზე უკეთ არავინ იცის იმ ეკლესიის თუ ტაძრის ისტორია, სადაც თვითონ მსახურობენ.

საეპარქიო მმართველობის სამომლოცველო სამსახურებმა უნდა იზრუნონ იმისთვის, რათა მათთან მისულ მომლოცველებს გააჩნდეთ რეალური შესაძლებლობა ეთაყვანონ ადგილობრივ სიწმინდეებს და ეზიარონ საჭირო ინფორმაციას.

ღვთისმსახურებაზე ტურისტული ჯგუფებისა და ინდივიდუალური ტურისტების დაშვების გადაწყვეტილებას იღებს მონასტრის წინამძღვარი.

ავტორის მიერ აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქიის მრავალი წარმომადგენელი მომხრეა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების და აქტიურად იყენებენ კიდეც თანამედროვე მენეჯმენტის და მარკეტინგის სტრატეგიას.

ამჟამად, მართლმადიდებლური მომლოცველობის ამოცანაა ააღორძინოს სიწმინდეების თაყვანისცემის ტრადიცია, იქცეს დამაკავშირებელ რგოლად საზოგადოებასა და ეკლესიას შორის. ამისთვის აუცილებელია საქართველოს მართლმადიდებლური მომლოცველობის ათასწლოვანი ტრადიციების შესწავლა და სათანადოდ გააზრება.

რელიგიური ტურიზმის განხილვა უნდა მოხდეს, ძირითადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოყოფის, საკვანძო პრობლემების დაფიქსირების, ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზისა და ამ სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე.

რელიგიური ტურიზმის განვითარებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაცია აამაღლებს საქართველოს საერთაშორისო ისტორიულ-კულტურულ სტატუსს და მოიზიდავს მეტ ინვესტიციებს და გაცილებით მეტ რელიგიური ტურიზმით დაინტერესებულ მოგზაურს.

რელიგიური ტურიზმის განვითარების მხრივ უნიკალური გამოცდილებაა დაგროვილი მსოფლიოში. ჩამოყალიბებულია განვითარების ახალი პრინციპები, კონცეფციები, მოდელები. მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების განხილვა, რელიგიური ტურიზმის განვითარების კონცეფციების ანალიზი და ავტორისეული ინტერპრეტაცია საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარებასთან კავშირში (მხედველობაშია საქართველოში რეგიონებში ტურიზმის განვითარების გეოგრაფიული, კულტურულ-ისტორიული თავისებურებებისა და ტენდენციების წარმოდგენა), მცდელობაა საკუთარი კვლევებით რეალობას არ მოწყდეს და გაანალიზოს სხვათა და საკუთარი ქვეყნის გამოცდილება და შესაძლებლობები.

ავტორი სრულად და რეალურად აცნობიერებს თანამედროვე გამოწვევების ფონზე რელიგიური ტურიზმის განვითარების პრობლემატიკას, ქვეყანასა და რეგიონებში რელიგიური ტურიზმის განვითარების თავისებურებების, ტენდენციების ობიექტურად აღქმას, ადგილობრივ ინტერესებს მისადაგებული ღონისძიებების შემუშავებას.

ავტორს მიაჩნია, რომ რელიგიური ტურიზმის განვითარება სისტემური მიდგომით უნდა განხორციელდეს და მის საფუძველზე შემუშავდეს მიზნობრივი პროგრამები.

სასურველია ქვეყანას გააჩნდეს რელიგიური ტურიზმის განვითარების პროგრამა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, თეოლოგიის თანამედროვე მეცნიერულ მეთოდებს, რესურსულ პოტენციალს, კოორდინაციის მექანიზმს და სრულად უნდა გამოხატავდეს განვითარების ეროვნულ და რეგიონულ ინტერესებს.

განხილული პრობლემების მრავალფეროვნებით, მასშტაბურობით, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ეს წიგნი უფრო გააძლიერებს საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების ისტორიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური პრინციპების კვლევის ინტერესს და, შესაბამისად, სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირებაში საზოგადოების აქტიურ ჩართვას. წიგნი მკითხველს აძლევს სწორ ორიენტაციას, თუ როგორი მიმართულებით უნდა წარიმართოს რელიგიური ტურიზმის განვითარება. წიგნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს, ავტორის დამარწმუნებელი წარმოდგენები და სწორი მეთოდოლოგიური მიდგომები დღევანდელ პირობებში საქართველოსა და მის რეგიონებში რელიგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიაზე.

ავტორის მიერ დიდი შრომაა გაწეული წიგნის არსებული სახით მკითხველთათვის წარსადგენად. წიგნი დაწერილია სამეცნიერო-პოპულარული, ადვილად გასაგები ენით – იგი საინტერესოა, როგორც სამეცნიერო წრეებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისათვის, მათ შორის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სტუდენტებისათვის, მონოგრაფია მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს მათ ცნობიერების ამაღლებაში, საქართველოს უმდიდრესი ისტორიის, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, ეკლესია-მონასტრების გაცნობასა და ხელახლა აღმოჩენაში. მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე ტურიზმის სექტორში დასაქმებულ გიდებს, მეცნიერ-სპეციალისტებს. წიგნი ხელს შეუწყობს თანამედროვე გამოწვევების ფონზე რელიგიური ტურიზმის განვითარების პრობლემატიკის რეალურად გაცნობიერებას.



გიორგი კვესიტაძე,
აკადემიკოსი

„ᲬᲔᲠᲗ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲐᲓ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ“

ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ?

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ორგანიზაცია „ამრა“ აფხაზური ტექსტების ქართული ანბანით წერის ინიციატივას აცოცხლებს. ეს ანბანი აფხაზური ენისთვის მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, თუმცა რუსიფიკაციას ემსხვერპლა - აფხაზებმა დამწერლობად კირილიცა აირჩიეს.

„ამრა“ცდილობს, ქართულ გრაფიკულ სიმბოლოებზე დაფუძნებული ანბანი აღადგინოს.

„ქართული ანბანი უფრო ადაპტირებულია აფხაზურ ენასთან, ვიდრე რუსული, ამას თავად პეტრე უსლარიც ამბობდა, კირილიცაზე დაყრდნობილი აფხაზური ანბანის ავტორი“, – ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ „ამრას“ წარმომადგენელი მიხეილ კვატაშიძე და იქვე განმარტავს, რომ დღეს მათი ინიციატივა უფრო ქართველებს ეხება, ვიდრე აფხაზებს.

„ამ პროექტს აფხაზებს არ ვთავაზობთ. უკვე გაიგეს და ძალიან ცუდად მიიღეს. ეს პროექტი ქართველებისთვის არის... როცა აფხაზებთან ვურთიერთობ, მაინტერესებს, ესა თუ ის სიტყვა როგორაა აფხაზურად. ვთხოვ ხოლმე, დამიწერონ. კირილიცათი მიწერენ და ვერ ვკითხულობ. კი ვიცი რუსულიც, მაგრამ იქ კიდევ სხვანაირი ასოებია. როდესაც აფხაზურ სიტყვებს ქართული ასოებით ვწერ, ძალიან დიდი ტექსტის წაკითხვაც კი შემიძლია, – ამბობს მიხეილ კვატაშიძე, – **იდეალური ვარიანტი რომ ავიღოთ, ამ ანბანით ქართველებს აფხაზურის სწავლა გაუადვილდებათ, აფხაზებს კი – ქართულის. საქართველოში არის სკოლები, სადაც აფხაზურს ასწავლიან და იქ შეიძლება დავნერგოთ“.**

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲪᲐᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ

„ამრა“ ქართული ანბანის თანამედროვე აფხაზურთან შესაბამისობაში მოსაყვანად, სამეცნიერო წრეების ჩართვას გეგმავს.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ სპეციალისტი, მეცნიერი **თეიმურაზ გვანცელაძე** თსუ-ს ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალში წერს, რომ აფხაზურ ენაზე დამწერლობა XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ არსებობდა. ის პირველად, 1862 წელს, რუსეთის არმიის გენერალმა პეტრე უსლარმა შექმნა. ანბანი კირილიცას ეყრდნობოდა, ასევე ემატებოდა უსლარის გამოგონილი ასო-ნიშნები, ძირითადად, მოდიფიცირებული რუსული ასოები.

იმავე წელს „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“ თბილისში შექმნა კომისია აფხაზეთის სამრევლო სკოლებისათვის აფხაზური სახელმძღვანელოს შესადგენად. კომისიამ ქართული დამწერლობის გამოყენება გადაწყვიტა, მაგრამ საბოლოოდ მაინც კირილიცა გამოიყენა, რადგან პეტრე უსლარმა კომისია ხელისუფლებასთან დაასმინა.


ᲐᲤᲮᲘᲡᲣᲐ ᲐᲚᲤᲐᲕᲘᲢᲘ
ᲐᲑᲒᲓᲔᲕᲖᲗᲘᲙᲚᲛᲜᲝ�პᲠᲡᲢᲣᲤᲩᲪᲭᲯᲰᲨᲩᲪᲭᲯᲰᲨᲩᲪᲭᲯᲰᲨ

რომი ერთ დღეში არ აშენებულა!..

აგვისტოს გოლოს, სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში BRICS-ის ქვეყნების, რიგით, მეთხუთმეტე სამიტი ჩატარდა. შეგახსენებთ, ეს არის სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის მქონე ხუთი ქვეყნის გაერთიანება, რომელიც 2006 წელს დაარსდა. ალიანსში შედის ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა.

სიტყვა BRICS ინგლისურენოვანი აკრონიმია, რომელიც ამ ქვეყნების სახელთა ინიციალებისგან შედგება. ალიანსი დიდი შვდეულის, ანუ ამერიკული ჰეგემონიის, საპირწონედ შეიქმნა, რომელიც დასავლეთის ისეთ განვითარებულ ქვეყნებს მოიცავს, როგორიცაა კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, ინგლისი და ამერიკა. ამ ორ პოლიტეკონომიკურ ბლოკს შორის დიდი წინააღმდეგობა და შეჯიბრია არსებობისთვის.

სამიტს რუსეთის პრეზიდენტიც უნდა დასწრებოდა, მაგრამ გახსოვთ, ალბათ, ჰაგის სასამართლოს ვლადიმირ პუტინის დაპატიმრების შესახებ ორდერი აქვს გაცემული. შესაძლო დიპლომატიური სკანდალის თავიდან ასაცილებლად, რუსეთის მთავრობამ სამიტზე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი, გაგზავნა. და მაინც, იოჰანესბურგის გახმაურებულ ფორუმს ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. ჩინეთის პრეზიდენტი სი-ძინ-პინი BRICS-ის სამიტის ფარგლებში გამართულ მნიშვნელოვან ბიზნეს ფორუმს არ დაესწრო და შეხვედრაზე ვაჭრობის მინისტრი გაგზავნა. სი-ძინ-პინი, რომელიც, სამიტზე დასასწრებად, სამხრეთ-აფრიკის დედაქალაქში 21 აგვისტოს ჩაფრინდა, სიტყვით უნდა გამოსულიყო, მაგრამ მომზადებული ტექსტი, პრეზიდენტის ნაცვლად, მინისტრმა წაიკითხა.

ჩინეთის ლიდერის ასეთი მოულოდნელი დემარშის მიზეზად ინდოეთის პოლიტიკით ჩინეთის უკმაყოფილება დასახელდა. ერთი სიტყვით, სამიტი კინაღამ მინისტერიალად იქცა, მაგრამ, დაწეული დონის მიუხედავად, ფორუმმა ალიანსის გაფართოების უმნიშვნელოვანესი საკითხი განიხილა. გადაწყდა, რომ ახლო მომავალში, BRICS-ს ეგვიპტე, ირანი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, არგენტინა და ეთიოპია შეუერთდება, ანუ, 11 ქვეყნისგან შემდგარი ალიანსი გახდება. საგულისხმოა, რომ მსგავსი სურვილი სხვა ქვეყნებმაც გამოთქვა. გამოდის, BRICS-ი იზრდება, ვითარდება და უფრო მეტ საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს. რამდენიმე მონაცემით, დიდ-შვიდეულს გაასწრო კიდეც.

BRICS-ი მსოფლიოს ახლანდელი მოსახლეობის 42 პროცენტს წარმოადგენს, დიდი-შვიდეული კი, მხოლოდ 10-ს. BRICS-ზე მსოფლიო ვაჭრობის 18 პროცენტი მოდის. დაფიქრებული დასავლელი ანალიტიკოსები განგაშს ტეხენ. მათი აზრით, BRICS-ში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა მკვეთრად იმიტომ გაიზარდა, რომ დასავლეთმა მათ განვითარების სწორ გზაზე ვერ მიუთითა. მოხდა ის, რომ BRICS-ის ასპირანტმა ქვეყნებმა ეს ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია არსებული გლობალური წესრიგის უფრო მისაღებ და მათთვის სასარგებლო ალტერნატივად მიიჩნიეს. ანალიტიკოსების აზრით, თუ დასავლეთმა თავისი ძველი ამბიციური განწყობა არ დათმო და მსოფლიოს განვითარების სწორი გზა ვერ აჩვენა, დასავლურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრინციპებზე აგებული ახლანდელი წესრიგი დაიშლება. თუმცა, ამ აზრს ყველა ანალიტიკოსი არ იზიარებს. ისინი ფიქრობენ, რომ BRICS-ი არაერთგვაროვანი გაერთიანებაა, რომლის შიგნით არაერთ საკითხზე სუფევს უთანხმოება, რაც მომავალში კონფლიქტს ნიშნავს. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ინდოეთი და ჩინეთი გეო-პოლიტიკური კონკურენტები არიან. ჩინეთი თავს დასავლეთის რეალურ ალტერნატივად განიხილავს.

კეთდება ანალიზი, რომ გაზრდილი BRICS-ი, ჩინური დიპლომატიის პირდაპირ ინსტრუმენტად იქცევა და კიდევ უფრო გაამწვავებს ისედაც დაძაბულ ჩინურ-ამერიკულ ურთიერთობას. ინდოეთი კი, ნეიტრალურობისკენ ილტვის. ინდოეთის პოზიციას ბრაზილიაც იზიარებს. ირანი, მოგეხსენებათ, მკვეთრი ანტი-დასავლური პოლიტიკის მომხრეა, რაც ამ ორი ქვეყნის გეოპოლიტიკურ კონცეფციას ეწინააღმდეგება. ბრაზილია ვერ ეგუება BRICS-ის პოტენციური წევრების მოსაზრებებს თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებაზე. არგენტინის გარდა, ყველა მომავალი წევრი ახლო-აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას წარმოადგენს. ანალიტიკოსები არც იმას გამორიცხავენ, რომ BRICS-ის შიგნით და მის ირგვლივ მოფუსფუსე ზოგიერთმა ქვეყანამ, ერთ მშვენიერ დღეს, ზურგი ჩინეთსაც აქციოს და ამერიკასაც, და დამოუკიდებელი გაერთიანება შექმნან, რომელიც უკეთესად მოემსახურება მათ ეროვნულ ინტერესებს. სამიტზე გაუღერდა კიდევ ერთი საკითხი – დედოლარიზაცია და ახალი საერთაშორისო სავაჭრო ვალუტის შერჩევა-გამყარება, რომელმაც დოლარს უნდა გაუწიოს კონკურენცია. გაჟღერდა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა.

ერთი სიტყვით, BRICS-ი დიდ-შვიდეულს რაღაც მონაცემებით კი უსწრებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ჯობნის ორგანიზებულობის, გადაწყვეტილებათა ერთსულოვნების, შინაარსობრივი პრაგმატიზმისა და დემოკრატიულობის თვალსაზრისით. რაც შეეხება თავად BRICS-ის წევრებს, ისინი ოპტიმისტურად უყურებენ თავიანთ მომავალს. ასე ამბობენ, რომი ერთ დღეში არ აშენებულაო.

ტრამპის დაბრუნება სოროსისთვის კოშმარი იქნება!



ამას წინათ, ამერიკის კონსერვატულმა მასმედიამ დემოკრატების მიერ მიჩქმალული ერთი ამბავი გამოააშკარავა: სამი თვის წინ, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა, ქალბატონმა კამალა ჰარისმა, თავის რეზიდენციაში დემოკრატიული პარტიის შემომწირველთა ერთი ჯგუფი მიიღო.

თითქოს, არაფერი განსაკუთრებელი, მაგრამ თუ დონორთა პერსონებს დავაკვირდებით, შეიძლება, დავფიქრდეთ. შეხვედრას ჯორჯ სოროსის შვილი, ალექს სოროსი თავის ბიზნეს-მეგობრებთან ერთად დაესწრო. სოროსების ოჯახს, უკვე, კარგა ხანია, დიდ შლეიფად მოსდევს პოლიტიკური სკანდალები და საიდუმლო ამბები. ამიტომ, კამალა ჰარისი ამ შეხვედრის დამალვას ცდილობდა. შეგახსენებთ, რომ, ამ რამდენიმე თვის წინ, ალექს სოროსი პოლიტიკაში თვალში საცემად გააქტიურდა, რაც იმან გამოიწვია, რომ მამამ, საოჯახო იმპერიის მართვა, მას გადააბარა. 37 წლის ალექს სოროსი, ჯორჯის ხუთი შვილიდან, ერთერთია. ის ნიუ-იორკში გაიზარდა, მაგრამ განათლება კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტში მიიღო. ისტორიის დოქტორის წოდებაც აქვს. გასულ წლამდე, მამის მთავარ პროექტს, ფონდს „ღია საზოგადოება“ ხელმძღვანელობდა.

ცნობისთვის, ზუსტად ამ ფონდის საქმიანობის გამო გადაიკიდა უფროსმა სოროსმა მსოფლიოს არაერთი პოლიტიკოსი. ამ ფონდით სოროსი თავისი ულტრა-ლიბერალური იდეების პოპულარიზაციას ცდილობს. ალექს სოროსმა ამერიკის მას-მედიას განუცხადა, რომ ის მამამისზე უფრო დიდი რადიკალია და პოლიტიკურად კიდევ უფრო ანგაჟირებული, ანუ მკვეთრად რადიკალური ლიბერალური იდეების გატარება და პოლიტიკაში უფრო ინტენსიურად ჩარევა სურს. აი, ამიტომ შედგა კამალა ჰარისთან ის საიდუმლო სერობა. ცნობილია, რომ დონალდ ტრამპის რეიტინგი მაღალია. ამერიკის ხელისუფლებაში ტრამპის დაბრუნება დემოკრატებისთვის ნამდვილი კოშმარი იქნება. სწორედ ამიტომ აფართოებენ და ააქტიურებენ დემოკრატები თავიანთ დონორთა წრეს. ალექს სოროსმა ამერიკის მას-მედიას უკვე განუცხადა, რომ დონალდ ტრამპის წაგებისთვის ის ყველაფერს იღონებს. დემოკრატების საარჩევნო კამპანიაში იგი უკვე აქტიურად არის ჩართული. ალექს სოროსი თითქმის ყოველ-დღე ხვდება დემოკრატ სენატორებს და სხვა ლიბერალ პოლიტიკოსებს. როგორც კონსერვატიულმა მასმედიამ აღნიშნა, ალექს სოროსმა კარგად მოირგო დემოკრატების რუხი კარდინალის მანტია.

ნუგზარ ბ. რუხაძე.
POSTV

ვლადიმერ პუტინი: სომხეთმა, ფაქტობრივად, თავად აღიარა ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიად...

რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის განცხადებით, სომხეთის მთავრობამ თავად აღიარა, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანს ეკუთვნის. ამის შესახებ პუტინმა ვლადივასტოკში, აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას განაცხადა. **„საქმე არ ეხება მხოლოდ უკანასკნელი კონფლიქტის შედეგებს, საქმე კიდევ იმაშია, რომ სომხეთის ხელმძღვანელობამ, არსებითად, აღიარა აზერბაიჯანის სუვერენიტეტი ყარაბაღზე და ბრაღის განცხადებაში ეს უბრალოდ ქაღალდზე დაფიქსირდა“,** – განაცხადა პუტინმა.

პუტინის თქმით, ახლა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ამბობს, რომ მთიანი ყარაბაღის სტატუსი აღარ დგას და ის გადაჭრილია.

„სომხეთის ხელმძღვანელობამაც საჯაროდ თქვა ეს, როდესაც დათვალა მთელი ტერიტორია 1991 წლამდე აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში და დაასახელა ციფრი, რომელშიც შედის ყარაბაღის ტერიტორიაც. ეს მოხდა. ეს ხომ ჩვენი გადაწყვეტილება არ არის – ეს არის სომხეთის დღევანდელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება“, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

მისივე განმარტებით, ახლა აზერბაიჯანის პოზიცია რეგიონში რუსეთის მდგომარეობის მიმართ ასე ჟღერს: **„თუ გსურთ რაიმეთი იყოთ დაკავებული, ყარაბაღის თემატიკა უნდა გადაწყვიტოთ ჩვენთან ორმხრივ საფუძველზე. ჩვენ რა გვაქვს სათქმელი? აქ სათქმელიც არაფერია. თუ თავად სომხეთმა აღიარა, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაა, მაშინ ჩვენ რა?“,** – თქვა პუტინმა.

ჯო ბაიდენსაც იმპიჩმენტით ემუქრებიან

ბრალდებები ეხება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, მართლმსაჯულების განხორციელებაში დაბრკოლებებსა და კორუფციას და ეს წარმომადგენელთა პალატის მხრიდან შემდგომ გამოძიებას მოითხოვს, – განაცხადა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა, კევინ მაკარტიმ.

კევინ მაკარტიმ მხარი დაუჭირა გამოძიების დაწყებას პრეზიდენტ ჯო ბაიდენის იმპიჩმენტის პროცედურის ფარგლებში.



„ჩვენი გამოძიების შედეგად, ჩვენ დავადგინეთ, რომ პრეზიდენტმა ბაიდენმა ამერიკელი ხალხი მოატყუა, რომ არ იცოდა მისი ოჯახის წევრების უცხოური (ბიზნეს) გარიგებების შესახებ. თვითმხილველები ადასტურებენ, რომ პრეზიდენტი რამდენიმე სატელეფონო საუბარში მონაწილეობდა და ჰქონდა ინტერაქცია (ამ გარიგებების ფარგლებში). ჩვენ ვიცით, რომ საბანკო ჩანაწერები აჩვენებს, რომ დაახლოებით 20 მილიონი დოლარი იყო მიმართული ბაიდენის ოჯახის წევრებსა და პარტნიორებზე სხვადასხვა კომპანიის მეშვეობით. მარტო სახაზინო დეპარტამენტს აქვს 150-ზე მეტი ტრანზაქცია ბაიდენის ოჯახის წევრების მონაწილეობით“, – აღნიშნა მაკარტიმ.

თეთრი სახლის სპიკერი იან სამსი აცხადებს, რომ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის საქმიანობის გამოსაძიებლად წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელებმა ცხრა თვე გაატარეს და მისი უკანონო ქმედებების მტკიცებულება ვერ იპოვეს.

◎ ტრიუმფი

8 წლის შემდეგ

გელა ხოტენაშვილი, მერი არაბიძე, ნინო ბაციაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია – აღნიშნულმა ხუთეულმა 8-წლიანი პაუზის შემდეგ მეორედ მოიგო რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი) პოლონეთში გამართული მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი (კაპიტანი – დავით ჯოჯუა).

მართალია, ტურნირში მთელი რიგი წამყვანი დიდოსტატები არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აკნინებს ჩვენებურთა ტრიუმფის მნიშვნელობას – საქართველოს ნაკრების ლიდერი ნანა ძაგნიძე ჩვენც ხომ გვაკლდა.

მართალია, პირველ ჯგუფურ ეტაპზე მოულოდნელად დავმარცხდით მომავალ ბრინჯაოს პრიზიორ ფრანგებთან, მაგრამ დანარჩენ მეტოქეებს ღირსეულ ბრძოლაში ვძლიეთ – შარშანდელი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულ უკრაინას, ეგვიპტეს, ინდოეთს, მეოთხედფინალში – ჩინეთს, ნახევარფინალში – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფინალში – ყაზახებს, ვისთანაც პირველ ეტაპზე ფრედ ვითამაშეთ.

ბუნებრივია, თითოეული ჯვაროსანი ქებას იმსახურებს, მაგრამ მაინც განსაკუთრებით აღსანიშნავია ლელა ჯავახიშვილის შესანიშნავი შედეგი – მან 4 პარტიაში 3,5 ქულა დააგროვა საწყის სტადიაში, სატიტულო პაექრობაში კი აზიელი მეტოქე ორჯერვე დააშამათა!

◎ იმედი ხვალის

ტრადიციის ერთგულნი

მოჯადოკეთა მსგავსად, ქართველ ძიუდოისტთა მიღწევებითაც განებივრებულნი ვართ, მაგრამ ახალგაზრდების მიერ ტატამზე მოხვეჭილი ოქრო მაინც სხვაგვარად გრძყვიალებს.

ამჯერად ჯვაროსნებმა სამშობლო ნიდერლანდების დედაქალაქ ჰააგაში გამართულ ევროპის შერეულ (მიქსი) გუნდურ ჩემპიონატში ასახელეს, სადაც ეთერ ასკილაშვილმა, ნინო ლოლაძემ, ნინო პაპიძემ, თამაზ კობერიძემ, გიორგი ბადუაშვილმა, შალვა გურეშიძემ, კოტე კაპანაძემ და გიორგი ტერაშვილმა დამაჯერებლად სძლიეს საბერძნეთს – 4:1, პორტუგალიას – 4:1, საფრანგეთს – 4:2 და ფინალში მასპინძლებს – 4:1.

მანამდე წარმატებით იჭიდავეს ჩვენებურებმა ინდივიდუალურ ტურნირში, სადაც 3 ოქრო (თენგო ზირაქიშვილი – 66, გიორგი ტერაშვილი – 73, შალვა გურეშიძე – მძიმე წონა) და 1 ბრინჯაო (ლუკა ბაბუციძე – 81) დაიმსახურეს, ეს კი გუნდურ ჩათვლაში გამარჯვების ტოლფასი აღმოჩნდა.

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იგი სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით მაქოს გრანდ სლემზე 22-24 სექტემბერს 16-წევრიანი გუნდით გაემგზავრება (14 კაცი და 2 ქალი), თუმცა 60 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელს შორის ამჯერად არ იქნებიან გრიგალაშვილი, ბექაური, მაისურაძე და ღვინიაშვილი.

◎ კალათბურთი

ტახტზე – პირველად!



იაპონიაში, ინდონეზიასა და ფილიპინებში გამართული მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატი გერმანიის ტრიუმფის დასრულდა, რომელმაც ფინალში შრიოდერის ძალისხმევით (28 ქულა) სერბეთს სძლია – 83:77. ეს ბუნდესნაკრების პირველი სამუნდიალო ტიტულია, რომელიც საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი კანადელი მწვრთნელის გორდონ ჰერბერტის თავკაცობით გამოიჭედა, თანაც – დაუმარცხებლად.

აღსანიშნავია, რომ მეტოქის ორმაგი მოქალაქეობის მქონე დამრიგებელმა სვეტისლავ პეშიჩმა, რომელიც 74 წლისაა, ხანგრძლივ კარიერაში ისტორიულ სამშობლოს პლანეტის პირველობა მოაგებინა, ხოლო შეძენილს – ევრობასკეტი.

რაც შეეხება გადამწყვეტ ბრძოლას, მის დრამატიზმზე შემდეგი ფაქტი მეტყველებს: ლიდერი15-ჯერ(!) შეიცვალა, 10-ჯერ(!) კი ანგარიში თანაბარი იყო. ისიც სათქმელია, რომ ბალკანელთა თამაშს საბედისწეროდ დაეტყო შეხვედრის დასაწყისშივე დობრიჩის მიერ მიღებული მატჩის დატოვების ტოლფასი ტრავმა, არადა იგი მთელი ტურნირის განმავლობაში გამოირჩეოდა როგორც დაცვაში, ისე – შეტევაში.

შეხვედრა მესამე ადგილისათვის: კანადა – აშშ 127:118 (დამატებით დროში, ძირითადი დრო – 111:111.

ფორუმის MVP: შრიოდერი.

საუკეთესო ახალგაზრდა: გიდი (ავსტრალია).

საუკეთესო მცველი: ბრუქსი (კანადა).

საუკეთესო მწვრთნელი: ბანკი (ლატვია).

პირველი სიმბოლური ნაკრები: შრიოდერი, გილჯეს-ალექსანდერი (კანადა), ედვარდსი (აშშ), ბოგდანოვიჩი (სერბეთი), დონჩიჩი (სლოვენია).

მეორე სიმბოლური ნაკრები: ჟაგარსი (ლატვია), ფონტეკიო (იტალია), ვალანჩუნასი (ლიეტუვა), მილუტინოვი (სერბეთი), ფრანც ვაგნერი (გერმანია).

დავძენთ, რომ 2027 წლის მუნდიალს ყატარი უმასპინძლებს.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია

უარესს გადავურჩით



თავიანთი ზედიზედ მეექვსე მსოფლიო თასი ბორჯღალოსნებმა დაგეგმილი მარცხით გახსნეს ავსტრალიასთან – 15:35, მაგრამ თავი არ შეურცხვენიათ, რადგან მრისხანე მეტოქეს 2 ლელო დაუდეს (ივანიშვილი, გიგაშვილი) და იმედისმომცემი მეორე ტაიმი ჩაატარეს.

საქართველო (15-9): ნინიაშვილი (კვესელაძე), ტაბუცაძე, თაფლაძე, შარიქაძე, მოდებაძე, მატკავა (აბჟანდაძე), ლობჟანიძე (აფრასიძე). (1-8): აბულაძე (გოგიჩაშვილი), მამუკაშვილი (ზამთარაძე), პაპიძე (გიგაშვილი), ჭეიშვილი, მიქაუტაძე (ჯაიანი), ჯალაღონია (ცუცქირიძე), ივანიშვილი, გორგაძე.

შეხვედრის შემდეგ ჩვენი გუნდის კაპიტანმა **მერაბ შარიქაძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებთან უთანასწორო ბრძოლაში ბევრჯერ დაჯარიმებამ და გაუმართლებლობამ დააღალატათ, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ლევან მაისაშვილი კი უფრო კატეგორიული იყო: **დისციპლინის პრობლემა არასწორი თამაშიდან მოდის. შესვენებამდე ბურთს ან სუსტად ვურტყამდით ფეხს, ან მეტოქეს კარგი კონტრშეტევის შანსს ვაძლევდით. შესაბამისად, როცა მოწინააღმდეგე წნეხში გაგდებს, იქ ჯარიმის არიდება რთულია. კარგი ის იყო, რომ მეორე ტაიმში თამაშში დავბრუნდით. დასაფასებელია ბიჭების ხასიათი, რომლებმაც ხელები არ ჩამოყარეს, არ გატყდნენ და შედეგიანი შეტევების გარდა, მინიმუმ კიდევ 3 ლელოს შანსი გავუშვით.**

დრამატულად განვითარდა მოვლენები ჩვენი ჯგუფის მეორე შეხვედრაში, სადაც ფიჯიმ თითქმის უიმედო ვითარებაში დაუტრიალა ბრძოლა უელსს, ზედიზედ ორი ლელო დაუდო და ბოლო წამებზე სასწაულამდე ცოტა დააკლდა – 26:32.

დანარჩენი შედეგები: ირლანდია – რუმინეთი 82:8, ინგლისი – არგენტინა 27:10, იტალია – ნამიბია 52:8, იაპონია – ჩილე 42:12, სამხრეთ აფრიკა – შოტლანდია 18:3.

23 სექტემბერი: საქართველო – პორტუგალია.

ორიოდე სიტყვით

ფიგურული სრიალი

გერგამო (იტალია). ჩელენჯერის სერიის საერთაშორისო ტურნირი უფროსთათვის – „ლომბარდიის ტროფეი“. ერთეულები. **ოქრო** – ანასტასია გუბანოვა (ქალები). **ვერცხლი** – ოთარ ეგაძე. წყვილები. **ბრინჯაო** – მარია კაზაკოვა, გიორგი რევია.

ჩოგბურთი

აშშ-ის ღია პირველობა. პირველი ადგილი – კოკო გაუფი (აშშ, ქალები), ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი, კაცები). ეს მისი 24-ე გრანდ სლემია, მათ შორის მეოთხე – ფლეშინგ მედოუზე.

ამასობაში, როგორც გაზეთი ტელეგრაფი იტყობინება, პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციისა და ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ხელმძღვანელები განიხილავენ ორი ორგანიზაციის შესაძლო შერწყმის საკითხს. მათი წარმომადგენლები ერთმანეთს სექტემბრის ბოლოს ლონდონის სამიტზე შეხვდებიან.

რაც შეეხება მომავალ მოლაპარაკებებს, როგორც ირკვევა, იგი საუდის არაბეთის მხრიდან სავარაუდო მსხვილი ინვესტიციების განხორციელებამ დააჩქარა.

წყალბურთი

ევრო – 2024-ის წილისყრა. 3-16 იანვარი. ისრაელი. 16 მონაწილე. პირველი დივიზიონის „ბ“ ჯგუფი. უნგრეთი, იტალია, საბერძნეთი, საქართველო. შეგახსენებთ რომ „ჯვაროსნები“ კონტინენტური ფორუმის ფინალურ რაუნდში ზედიზედ მეექვსედ ითამაშებენ და საუკეთესო შედეგი შარშან აჩვენეს – მე-8 ადგილი.

ფეხბურთი

ევრო – 2024-ის შესარჩევი ჯგუფური ტურნირი. ნორვეგია – საქართველო 2:1. გოლები: ჰალანდი, ოდეგორი, ზივზივაძე.

მოგეხსენებათ, ყველაფერი შედარებითია, ამიტომ ესპანეთთან რამდენიმე დღის წინანდელი კოშმარის შემდეგ ოსლოში მინიმალური ანგარიშით წაგება ბევრს შეიძლება პროგრესად მოეჩვენოს, მაგრამ ვილი სანიოლის მიერ შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად ჯერ კიდევ ვერ მოიძებნა ბურთის საკუთარი საჯარიმოდან ამომტანი, რის გამოც გაწყვეტილია კავშირი რგოლებს შორის, მეტოქის კარში ზუსტად მხოლოდ ბოლო წუთებზე დავარტყით, მასპინძლებს თითქმის ყველა კომპონენტში ჩამოვრჩით და ასე შემდეგ:

მოკლედ, ურმის გადაბრუნება უკვე წესად გვექცა და ცუდი ისაა, პერსპექტივაც რომ არ ჩანს.



სადა ხარ, ჩემო დიდო ნათელო...

ერთი წელი გასულა ვახტანგ ხარჩილავას ალსრულებიდან და ეს თარიღი კიდევ უფრო ამძაფრებს ჩვენს ტკივილს იმის გამო, რომ თანამედროვე ქართველ პოეტთა, დავაკონკრეტებ, ჭეშმარიტ ქართველ პოეტთა კოჰორტას ერთი დიდებული თანამოკალმე გამოაკლდა.

ვახტანგ ხარჩილავა ფიქრიანი პოეტი იყო და სულ მუდამ ფიქრობდა სავალი გზის დასასრულზე, იმ ლურჯ ტაძრებზე, რომელთა აგება თავად ვერ მოასწრო, სხვათა არჩივად ქცეულ სიყვარულებზე, ფიქრობდა და თან ამ უცნაურ სტუმარს ელოდებოდა მთელი ცხოვრება, იდუმალ სტუმარს, ბრაზობდა კიდეც, ასე რატომ დაგაგვიანდაო.

მე როდესაც მოვკვდები,
როცა სული ცად წავა,
შენ ნუ დამილონდები,
შენ ნუ დამილონდები,
ჩიტო-ჩიტო ნაცარავ!

წინასწარვე ამშვიდებდა შვილებს და თან უხსნიდა, თუ რატომ არ უნდა დაღონებულიყვნენ: ჩემისული, ჩემი მაწანწალა სული უნდა დამშვიდდესო, თან სულ კი არ მივემგზავრები, სამყაროს უნდა შევუერთდეო. წუთისოფელმა კიდევ დიდხანს მაცალა, მამღერა კიდეც და კიდეც მაწვალაო.

სისხლით ნაწერი პერგამენტებით აავსო მისი წილი სამყარო და ისე უახლოვდებოდა თოვლით გადაპენტილ შორეულ მინდორს, რომლის იქითაც ლეთა მოსჩქეფდა ძალუმად და დაუნდობლად, უახლოვდებოდა სიკვდილს, რომელსაც დიდხანს აგემოვნებდა, დიდხანს სწავლობდა და იშინაურებდა. ისიც კარგად იცოდა, რომ არაფრის შეცვლა არ შეეძლო.

ვახტანგ ხარჩილავას ღრმად მოაზროვნე შემოქმედს კარგად მოეხსენებოდა, რომ ჩვენ ჟამის უკუნეთ დარანებში დაყრილი ლქვირითებივით გავჩნდით, მოიისფრო წყლის სივრცეებში და მას შემდეგ გასასვლელს ვეძებთ უკიდეგანო ოკეანისაკენ, უმწეოდ ვფართხალებთ, რადგან იქ გასასვლელი, კარგა ხანია, რაც შლამით ამოავსეს.

პოეტი თავისი მითიური წინაპრების მხარდამხარ იდგა და ბალახს თიბავდა, ჩელას მღეროდა და თან იმასაც ხვდებოდა, რომ მათი ცელების ზემოთ სულ სხვა ცელი აღმართულიყო, მზეგადასულ სიცოცხლის მინდორს რომ უპირებდა გადათიბვას და იავარქმნას.

ტრიალებს თვალწინ მღვრიე ძაღსი,
ლომისფერ გრიგალს ებრძვის,
მიაფრენს,
მაშინ გავძრები, როცა ამოვხსნი,
როცა გავიგებ ძვეყნად
ყველაფერს.

მართლაც მაშინ გაქრა, მაშინ მიატოვა ეს ცოდვითდაცემული სამყარო, მაგრამ დიდი სევდაც დაგვიტოვა, რადგანაც არ გვემეტებოდა ჰადესისათვის, არ გვემეტებოდა თუნდაც იმიტომ, რომ დიდებული პოეტი იყო, ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელიც გამუდმებით ებრძოდა ქართულ სიტყვას, მთელი ცხოვრება იმ ერთადერთ სიტყვას დაეძებდა, რომელსაც ვერცერთ ლექსიკონში ვერ იპოვით, ბგერებით რომ არ გამოითქმება, გაუთავებელი გარიჟრაჟებით და ბინდებით რომ არის შედგენილი, დიახ, იმ სიტყვას ეძებდა მის არსებობას აზრს რომ მისცემდა, მის არსებობას რომ გაამართლებდა.

ცეცხლმოდებული სახლიდან ბავშვი რომ გამოჰყავთ ხოლმე, ზუსტად ისე გამოჰყავდა აალებული სულიდან ლექსი, მარადიული არსებობისათვის განწირული ლექსი. ზუსტად ჰქონდა გასიგრძეგანებული ის, თუ რა უცნაურია პოეტის ბედი, როცა შინ დაბრუნებულს ხორაგის ნაცვლად გულის ჯიბეში მოკანკალე ათიოდე სტრიქონი მიგაქვს და კიდევ ის — თვალებში ჩამდგარი უცხო სინათლე. იმ მგლის ბედს შენატროდა მუდამ, რომლის მკერდსაც ბევრჯერ მოხვედრია ტყვია, მაგრამ არასდროს — წისლი კაცისა...

სიყვარულის აპოლოგეტი იყო და არაერთი მგზნებარებით დამუსტული სტრიქონი მიუძღვნა კაცობრიობის ამ „პერპენტუუმ მობილეს“ თუნდაც ასეთი:

ძარი მორეკავს ანანურზე
თოვლისფერ ღრუბლებს
და თუთარჩელა კრიალებს ცაზე,
შენ ლამაზდები ამ წელიწადს
უფრო და უფრო,
ეს სიყვარულმა,
სიყვარულმა იცისო ასე.

რა სულის გამყინავი სტრიქონები უძღვნა მისთვის სრულიად უცხო ქალბატონს, რა თანაგრძნობა გამოუცხადა, როგორ გაითავისა ტრაგედია ერთი უცოდველ არსებად მოვლენილი ქალისა, ბედისწერამ უღვთოდ რომ გაწირა და გათელა.

შენ შეცდენილი ხარ ანგელოზი,
მხრებზე ციური შუძი გარტყია,
შენ შეცდენილი ხარ ანგელოზი,
მაგრამ რატომღაც ძალს გეძახიან...

ასე წერა, ასეთი თანაგრძნობის გამოხატვა მხოლოდ დიდსულოვანი ადამიანის ხვედრია. ვახტანგ ხარჩილავაც სწორედ ასეთი ადამიანების რიგს განეკუთვნებოდა.

პოეტი იყო, ათასგვარი ხილვებით სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, ბევრი რამის დანახვა შეეძლო, თუნდაც იმისა, როგორ მიცურავს ნისლში დეკემბრის ღამე თოვლის უბიწო სამოსელით, ნოემბრის მწუხრში როგორ იცრემლებიან ფრთებდამსხვრეული მოლაღურები, როგორ იძვრის მიწაში გაზაფხულის უკვდავი ფესვი, ღვთიური შუქით როგორ ანათებენ ნეკერჩხლები საყდარში დანთებული სანთლებივით, როგორ ფხაჭნის მზით გათანგული დღე მხურვალე ქვიშას. ქარი მაწანწალა ქუჩის შანსონიეს აგონებდა, მზე - სამყაროს მხურვალე შუბლს. ქათქათა ნისლის ფთილებით ეკვროდა სული, ხარები ეცოდებოდა, მთვარისოდენა ნალებით დაჭედილი ხარები, სხვათა ცოდვებს და სხვათა ურმებს რომ ეზიდებიან ჩუმად და უდრტვინველად. მიწისქვეშა ლურჯი მდინარეების დარდით ცხოვრობდა, რომელსაც „საუბედუროდ“ ვერავინ ამჩნევს; კარგად იცოდა, რომ ჩვენ ყველანი ჩვენი დედების სამარეზე მწუხარედ ამოსასვლელი ბალახები ვართ, მდუღარე ცრემლებად ამოსასვლელი ბალახები. აკი, თავად ვახტანგიც ასეთ ბალახად იქცა... ერთი კი შეუბღვირა მასთან ვეება ცელით მისულს, არ მაცლი ჩემი ნებით გეახლო, მოხვალ და მიახლოვდებიო და მაინც მორჩილად გაჰყვა სულეთის გზაზე.

ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო?

არა და არა! როგორ შეიძლება ეს ითქვას შემოქმედზე, რომელმაც ძელგი ღვინოსავით სურნელოვანი სტრიქონები დაგვიტოვა, როგორ შეიძლება ეს ითქვას ერისკაცზე, რომელიც ბოლო ამოსუნთქვამდე რჩეული მეციხოვნესავით ებრძოდა სატანის მოციქულებს და ცოტნე დადიანივით იცავდა სამშობლოს შიდა თუ გარე მტრებისაგან. ამ წერილს სათაურად დავაწერე ვახტანგისეული სტრიქონები: სადა ხარ, ჩემო დიდო ნათელო.

შემიძლია დავიფიცო, რომ ეს ნათელი უკვე მიეახლა პოეტს, ერისკაცს, ერთიან საქართველოზე მაფიქრალ შემოქმედს, რომელსაც საქართველო სტკიოდა, საქართველო სწამდა, საქართველოს დიდი და ნათელი მომავლისა ეიმედებოდა.

ზაალ ბოტკოველი,
საქართველოს მწერალთა
კავშირის საორგანიზაციო
განყოფილების უფროსი, ლიტერატორი



დავით მახარობლიშვილი

75 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი არქიტექტორი და მეცნიერი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი და მრავალი მოწვევის გამგეობის წევრი, ახალგაზრდობის ღირსეული აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, პროფესორი **დავით მახარობლიშვილი.**

დავით მახარობლიშვილმა დაუღალავი შრომისა და არჩეული პროფესიის უდიდესი ერთგულების ფასად მიაღწია თვალსაჩინო სამეცნიერო და საზოგადოებრივ აღიარებას.

დავით მახარობლიშვილი დაიბადა 1948 წლის 22 ივლისს ქ. თბილისში. 1968 წელს, საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1973 წელს და ამავე წელს მუშაობა დაიწყო „საქქალაქმშენპროექტში“ არქიტექტორად, ხოლო 1975 წლიდან — თბილისის ზონალურ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტში. 1983 წელს მოსკოვში ასპირანტურის დამთავრების შემდეგ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საცხოვრებელი სახლების პროექტირებისა და მშენებლობის მეთოდიკა რთულ რელიეფზე“ და მიენიჭა არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, 2004 წელს კი — აკადემიური დოქტორის წოდება.

1983-1999 წწ. დ. მახარობლიშვილი თბილისის ზონალურ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა საცხოვრებელი სახლების ექსპერიმენტულ და ტიპობრივი დაგეგმარების განყოფილებას; 1999 წლიდან 2006 წლამდე ინსტიტუტის დირექტორია.

დ. მახარობლიშვილი მრავალი წელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. იგი არაერთი სამეცნიერო და მეთოდური სამეცნიერო ნაშრომის, რამდენიმე ტექნიკური გამოგონების ავტორია; მისი სამეცნიერო შრომები ეხება საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობების არქიტექტურას, რთული რელიეფის ათვისების პრობლემებს და სხვა. დავით მახარობლიშვილის მოღვაწეობა ძირითადად დაკავშირებული იყო პრაქტიკულ საქმიანობასთან. 2019 წელს გამოიცა მისი ბოლო წიგნი, რომელიც პროფესიონალის პრაქტიკული მოღვაწეობის ბოლო 30 წელს ასახავს. ეს წიგნი წარმოადგენს საუკეთესო სახელმძღვანელოს და გზამკვლევს სტუდენტებისთვის საზოგადოებრივი, საცხოვრებელი შენობების და ქალაქგეგმარებითი პროექტების შესასრულებლად. ავტორია მრავალი საზოგადოებრივი, საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ობიექტებისა.

დავით მახარობლიშვილი იყო არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და გამარჯვებული. მთავრობის მიერ სათანადოდ იყო დაფასებული მისი მოღვაწეობა არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში და მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის წოდება.

დავით მახარობლიშვილის სახით ქართულმა არქიტექტურულმა საზოგადოებამ, კოლეგებმა, მეგობრებმა დაკარგა მაღალი რანგის პროფესიონალი, გამოცდილი პრაქტიკოსი არქიტექტორი, მეცნიერი და უბრალოდ საოცრად კეთილშობილი ადამიანი.

ცნობილი არქიტექტორის, მეცნიერის და პედაგოგის დავით მახარობლიშვილის სახელი დიდხანს იცოცხლებს მათ მოგონებებში, ვისთანაც უმუშავია, ვინც აღუზრდია და ცხოვრების ნათელ გზაზე დაუყენებია ამ ღირსეულ და კეთილშობილ პიროვნებას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი დავითის უკვდავი სული, ვალმოხდილი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ტკივილით თანაუგრძნობს ბატონი დავითის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და მეგობრებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სიკეთის მთესველი პიროვნება

წავიდა ამ ქვეყნიდან სიცოცხლით, სიხარულით, სიკეთით სავსე კაცი, მეგობარი და დიდი პროფესიონალი, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი 1978 წლიდან და მრავალი მოწვევის გამგეობის წევრი **დავით მახარობლიშვილი.**

იგი ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას, — თავის დროზე დაამთავრა ასპირანტურა მოსკოვში, წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა არქიტექტურის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მრავალი წელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. მისი მოღვაწეობა ძირითადად მაინც დაკავშირებული იყო პრაქტიკულ საქმიანობასთან, რისთვისაც არასოდეს უღალატია. დავით მახარობლიშვილი ავტორია მრავალი საზოგადოებრივი, საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ობიექტებისა. მონაწილეობდა და იმარჯვებდა მრავალ სტუდენტურ და პროფესიულ კონკურსებში. სათანადოდ იყო დაფასებული მისი მოღვაწეობა არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში და მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის საპატიო წოდება. დავით მახარობლიშვილი შესანიშნავი ოჯახის პატრონი და ერთგული, გულისხმიერი მეგობარი გახლდათ... იშვიათია ადამიანი, რომელიც ასე ამართლებდეს საკუთარ გვარს, ის მართლაც ახარებდა საკუთარ სამეგობროს და საზოგადოებას, მხოლოდ სიკეთეს თესავდა ამ ცოდვილ დედამიწაზე...

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს!

თემურ ხუროძე, გია სურგულაძე, ნიკოლოზ გაჩეჩილაძე, თენგიზ ღოლობერიძე, მალხაზ დოლიძე, მარლენ შენგელია, თენგიზ ჩარკვიანი, ბორის ლეკიშვილი.

ARDAVIWYEBA

გია გაბრიჭიძე – ჟურნალისტი, მწერალი, მამულიშვილი



...გია გაბრიჭიძეს საკუთარი გემოვნებიანი მკითხველი ჰყავდა, რომელიც ნომრიდან ნომრამდე ელოდა მის პირუთვნელ ნაზრევს. ხომ არ გგონიათ, კალმის მოსმისას საკუთარ მრწამსთან კომპრომისს დაუშვებდა – პირიქით, ძარღვიანი, თვალადური, პუბლიცისტური სტრიქონებით ყველას დამსახურებისამებრ მიუზღავდა.

ანალიზის მისეული უნარი რომ ჭეშმარიტ პუბლიცისტიკასთან გახლდათ წილნაყარი, სატელევიზიო სტუდიებში სასურველი სტუმრობაც ადასტურებდა, სადაც, როგორც პოლემისტი, ბოლომდე საფუძვლიანი არგუმენტებით ამყარებდა პირად პოზიციას. დაგვეთანხმებით, ერთეული უნივერსალები თუ მოიძებნებიან ჟურნალისტიკაში, თანაბარი ღირსებით რომ ამბობენ სათქმელს როგორც ბეჭდვურ მედიაში, ისე ეკრანზე.

ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და მეგობრის ნიჭი დედაქალაქის ბოტანიკურ ბაღში მოღვაწეობის პერიოდშიც გაბრწყინდა, სადაც გამართულ თითოეულ ღონისძიებასაც მისეული რუდუნებით ასახავდა მედიაში.

მალე გამომცემლობა „ივერიონი“ გამოსცემს გია გაბრიჭიძის პუბლიცისტური ნააზრევის სამტომეულს!

გილოცავთ, გია! ამ წიგნების დასტამბვის შემდეგ შენ კიდევ უფრო უკვდავი გახდები!

უფროსი ქალიშვილისგან ბაბუობისთვის შემზადებული, წამოჩიტულ ტყუპ ბიჭებს შეჰნატროდა და დასაკაჟკაცებლად რაგბიზე უპირებდა დაკვალიანებას, მაგრამ... ნათელი და სანთელი, ძვირფასო კოლეგავ, ძმაო და მეგობარო!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

თავის ქვეყანაზე შეყვარებული კიდევ ერთი გულიანი კაცი გამოაკლდა ჩვენს რიგებს – ჟურნალისტი, მწერალი, ექსპერტი გია გაბრიჭიძე. გია მაქსიმალურად იყო ჩართული ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ყველა მიმდინარე პროცესში, როგორც მოქალაქე და როგორც ექსპერტი.

გია გაბრიჭიძე ასევე დააკლდება ჩვენს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს, რომლის განვითარებაში თავისი წვლილი შეჰქონდა. ვიზიარებ გიას ოჯახის წევრების, მეგობრების, ახლობლების გულისტკივილს!

კახა კალაძე

გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი, დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, უღალატო და გამორჩეული კოლეგა

გია გაბრიჭიძე.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი გულწრფელად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, კოლეგებსა და მეგობრებს.

გმადლობთ, ერთგულებისთვის

დილიდან მეხის გავარდნასავით გაისმა ბოტანიკურ ბაღში გია გაბრიჭიძის გარდაცვალების ამბავი. ვერავინ იჯერებდა ამ ცნობას, რომელიც ერთ-ერთი ტელევიზიის გაოგნებულმა ჟურნალისტმა გიას თანამშრომელს ამცნო. იმდენად დაუჯერებელი იყო, თავიდან გიას ხუმრობა გვეგონა. სამწუხაროდ სიმართლე აღმოჩნდა.

2014 წლიდან შემოუერთდა გია გაბრიჭიძე საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის გუნდს. უკვე ჩამოყალიბებული და ცნობილი ჟურნალისტი, მწერალი, პუბლიცისტი, მსახიობი, მრავალმხრივი ინტერესების და უნარების მქონე ადამიანი.

განათლებით ფიზიკოსი, ფართო თვალსაწიერის ადამიანი, შინაგანად თავისუფალი, ყოველივე ეს მას საშუალებას აძლევდა საკუთარი აზრი ჰქონოდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მწვავე საკითხებზე და ორიგინალურად გამოეთქვა იგი.

გიას მოღვაწეობის ეს სფერო ცნობილია ქართული საზოგადოებისთვის. ის ცნობილი სატელევიზიო სახე იყო. მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო და ნაყოფიერი მხარე იყო ბოტანიკური ბაღის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში საქმიანობა. გია სწორედ იმ დროს აღმოჩნდა ამ უძველეს ორგანიზაციაში, როდესაც ბაღი ტრანსფორმაციის პროცესში იყო. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის საზოგადოებისთვის ბოტანიკურ ბაღში მიმდინარე სასიკეთო ამბების გაცნობაში. 2014 წლიდან დღემდე იგი დაუღალავად, შესაშური ენთუზიაზმით ცდილობდა, პოზიტიურად განეწყო ქართული საზოგადოება ბოტანიკურ ბაღში მიმდინარე სიახლეებისადმი.

საოცრად შეხმატკბილებული მუშაობდა თავისი განყოფილების თანამშრომლებთან და საერთოდ, ყველას ძალიან ახლობლად და მეგობრად მიიჩნდა. ამიტომ არის, რომ ცრემლი არ შეშრობიათ თვალზე კოლეგებს, რომლებიც, სწორედ ახლა, გიასთან ერთად ფესტივალის ჩასატარებლად ემზადებოდნენ. გია ძალიან დაგვაკლდება ჩვენ, დააკლდება ქვეყანას და, პირველ რიგში, მის ოჯახს, შვილებს, რომლებითაც ასე ამაყობდა. მის მეუღლეს, მეგობრებს და კოლეგებს. ძალზე ადრე დაგვტოვა გიამ, ასე უცნაურად და მოულოდნელად. ჩვენ ის მუდამ გვემახსოვრება და შევეცდებით, მისეული ენთუზიაზმით და პოზიტივით გავაგრძელოთ საქმე, რომელიც მას ასე ძლიერ უყვარდა. მადლობა ერთგულებისთვის და მეგობრობისთვის!

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

უღალატო კალმოსანი

მის სტატიებს და პუბლიცისტურ ჩანაწერებს სისტემატურად ვკითხულობდი. პირადად რამდენიმე წლის წინ გავიცანი.

საკმად მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა – ხშირად აზრებსაც ვუზიარებდით ერთმანეთს.სხვათა შორის, ჩემსავით პირდაპირი და შეუპოვარი იყო, განსაკუთრებით, პოლიტიკური პროცესების შეფასებისას.

აგვისტოს დასაწყისში დამირეკა და მისი კრებულების გამოცემაში მხარდაჭერა მთხოვა.შევხვდით ოფისში, ვისაუბრეთ.შემპირდა, შვებულებიდან რომ დაბრუნდები, სამივეს გამზადებულს მოგიტან და დავიწყოთო.სურვილი ჰქონდა, თავისი დაბადების დღისთვის მოგვესწრო და ეროვნულ ბიბლიოთეკაში პრეზენტაციაც ჩაგვეტარებინა .

ათიოდე დღის წინ მოვიდა კიდეც დასაბეჭდად გამზადებული კრებულებით... წიგნები მალე იხილავენ დღის სინათლეს, ოღონდ, ავტორის გარეშე!!!

თავზარდამცემი იყო დღეს ჩემთვის ნიჭიერი კალმოსნისა და უღალატო მეგობრის, გია გაბრიჭიძის მოულოდნელი გარდაცვალება!

შემთხვევით, მეგობრის ფეისბუქგვერდიდან გავიგე ეს საზარელი ამბავი და...სიტყვას ვერ ვპოულობ ჩემი ემოციის გამოსახატავად. უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროს გია! ძალიან დაგვწყვიტე გული. წიგნები მალე გამოვა და გპირდები პრეზენტაციასაც ჩავატარებ – ოღონდ, უშენოდ!

ზაურ ნაჭყებია

დაუვიწყარი ლევან ვაჭას ძე გენგაშვილი

ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა, რაც შენ გადაინაცვლე ზეციურ საქართველოში.

ჩვენო საყვარელო ლევან, დაგვიტოვე მოუნელებელი სევდა. ჩვენ მამაშენის მეგობრებს, გვეამაყებოდი. შენ იყავი ყველასგან გამორჩეული, ზრდილობით, ყურადღებით და ეს ყველაფერი მოასწარი 39 წლის ასაკში. ჩვენთვის ძალიან მტკივნეულია შენი მშობლების, დედმამიშვილების ნახვა.

ჩვენ არ ვიყავით შენს დაკრძალვაზე საქართველოში არ ყოფნის გამო. ქედს ვიხრით შენი ნათელი სულის წინაშე.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ზურაბ ფოჩხუა, თემურ და თენგიზ კუჭუხიძეები, შოთა ასათიანი, მიხეილ სალაძე, მერაბ გურული.

წელს 16 მსჯავრდებული სტუდენტი გახდა

ეროვნული გამოცდების შედეგად, **წელს სტუდენტი 16 მსჯავრდებული პირი გახდა**, – ამის შესახებ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში აცხადებენ.

„სპეციალური პენიტენციური სამსახური მსჯავრდებულთა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ხარისხის ასამაღლებლად ზრუნვას აგრძელებს. ამ მიმართულებით სისტემაში წარმატებულად გატარებული რეფორმების შედეგად, წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები მსჯავრდებულებმა წარმატებით ჩააბარეს – სტუდენტი გახდა დამატებით 16 მსჯავრდებული“, – აცხადებენ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში. უწყებაში აღნიშნავენ, რომ პენიტენციური სამსახურისთვის პრიორიტეტულია მსჯავრდებულთა განათლებაზე ზრუნვა.

„სწორედ ამ მიზნით გასულ წელს პენიტენციურ სისტემაში „ციფრული უნივერსიტეტი“ ამოქმედდა. ახალი პლატფორმა მათთვის შესაძლებლობას ქმნის, დისტანციურად მიიღონ უმაღლესი აკადემიური განათლება, ონლაინრეჟიმში დაესწრონ ლექციებს და ინტერაქციული კომუნიკაცია ჰქონდეთ ლექტორებთან.

დაწესებულებებში უმაღლესი განათლების მიღების მსურველი მსჯავრდებულების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება; უმჯობესდება უშუალოდ საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის საშუალებები; დაკმაყოფილებულია ჩასაბარებლად მოსამზადებელი ეტაპისთვის ყველა საჭიროება“, – აცხადებენ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში.

გილოცავთ!

ღიმილის ბიჭი, მხატვარ-არქიტექტორი, სამეფო სახლის კანცლერი...

ქართულ თეატრსა და კინოში იშვიათია ადამიანი, რომელსაც ერთი მთავარი როლი ეთამაშოს და ფილმის ეკრანზე გამოსვლისთანავე ყველაზე პოპულარული კაცი გამხდარიყოს მთელ საქართველოში!

ლეგენდარული რეჟისორის რეზო ჩხეიძის „ღიმილის ბიჭები“ მოვლენად იქცა ქართულ კინოში, დამწყები, არაპროფესიონალი 20 წლის „არტისტის“ კახა ქორიძის „თემური“ კი — სამაგალითო რაინდად 60-70-იანი წლების ახალგაზრდობაში...



დღესაც, 75 წლის „დიდებულ თავადს“, ბატონ კახა ქორიძეს უპირველეს ყოვლისა, ღიმილის ბიჭად მოიხსენიებენ...

არადა, სიყმაწვილის ასაკში შესრულებული როლის შემდეგ ეს „ღიმილის ბიჭი გახდა თუმანიშვილის თეატრის მთავარი მხატვარი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელი მხატვარი, მოსკოვის „დონის მონასტრის“ არქეოლოგიური ექსპედიციის მთავარი არქიტექტორი, საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე მშენებლობის დარგში, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩეველი, მრავალი შთამბეჭდავი პროექტის ავტორი, ურბანიზაციისა და განათლების სისტემების ერთ-ერთი რეფორმატორი...

დააფუძნა საქართველოს „სამეფო სახლის საერთაშორისო ფონდი“, გამოსაცემად მოამზადა ისტორიული წიგნი „საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე“, არის საქართველოს სამეფო სახლის კანცლერი, ფლობს დიდებული თავადის წოდებას...

მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისთვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის.

არის მრავალშვილიანი, შესანატრი, ზნეობრივად ამაღლებული ოჯახის მამა და ბაბუა, ძვირფასი მეგობარი და მამულიშვილი.

მხნედ, ღიმილის ბიჭო, დიდებულო თავადო!...

გილოცავთ დაბადების დღეს!

„საქ. რესპუბლიკის“ რედაქცია

„რანინელები“ ევროვიზიაზე

2023 წლის საბავშვო ევროვიზიის კონკურსზე „რანინას“ მეექვსე სეზონის გამარჯვებულ ანასტასია ვასაძესთან ერთად „რანინელი“ ნიკოლოზ ხარატი და ოთო ბაზერაშვილი წარდგებიან.

ნიკოლოზ ხარატი და ოთო ბაზერაშვილი 2022 წელს „რანინას“ ფინალისტები იყვნენ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ინფორმაციით, სიმღერის პრემიერა, რომელსაც საქართველოს წარმომადგენლები ევროფესტივალზე შეასრულებენ, სულ მალე შედგება. რიგით 21-ე საბავშვო ევროვიზია საფრანგეთის ქალაქ ნიცაში 26 ნოემბერს გაიმართება. საქართველო საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გამარჯვებული სამჯერ გახდა.

ოთო ბაზერაშვილი ანასტასია ვასაძე ნიკოლოზ ხარატი

ილონ მასკს და გრაიმსს მესამე შვილი ჰყავთ, რომელსაც ტექნო მექანიკუსი დაარქვეს

52 წლის მილიარდერ ილონ მასკს და 35 წლის მომღერალ გრაიმსს (კლერ ბუშე) საიდუმლო მესამე შვილიც ჰყავთ, რომელსაც ტექნო მექანიკუსი ჰქვია.

„ილონ მასკის ახალი ბიოგრაფია ადასტურებს, რომ თესლა-ს გენერალურ დირექტორს ჰყავს აქამდე დაურეგისტრირებელი მესამე შვილი მისი ყოფილი პარტნიორისგან – კანადელი მომღერლის, გრაიმსისგან“, – წერს Insider-ი.

ჟურნალისტების განმარტებით, ბავშვს მოფერებით ტაუს ეძახიან. მისი ასაკი და დაბადების ადგილი არ საჯაროვდება. Insider-ი ასევე აღნიშნავს, რომ მასკს უკვე 10 შვილი ჰყავს.

მსახიობი კრის ევანსი დაქორწინდა

კაპიტანი ამერიკას როლის შემსრულებლის რჩეული ალბა ბაპტისტა გახდა, რომელიც ასევე მსახიობია და თავისუფლად საუბრობს 5 ენაზე. წყვილი 9 სექტემბერს, საკუთარ სახლში დაქორწინდა. ცერემონიას მათი ნათესავები და მეგობრები დაესწრნენ, მათ შორის იყვნენ ევანსის კოლეგები Marvel-ის ფილმებიდან – რობერტ დაუნი უმცროსი, კრის ჰემსვორთი და ჯერემი რენერი.

42 წლის ევანსისა და 26 წლის ბაპტისტას რომანის შესახებ გასული წლის ნოემბერში გახდა ცნობილი, თუმცა ჟურნალისტების ცნობით, წყვილი ერთმანეთს მანამდე უკვე 1 წლის განმავლობაში ხვდებოდა.

ფრედი მერკურის როიალი აუქციონზე გაიყიდა

პატარა როიალი, რომელიც ერთ დროს მომღერალ ფრედი მერკურის ეკუთვნოდა, სოტბის აუქციონზე 2.2 მილიონ დოლარად გაიყიდა. იამაჰას ფირმის როიალი, 1975 წელს იაპონიაში შეიძინეს და ინგლისში ჩაიტანეს. როკ ჯგუფ „ქუინის“ სოლისტმა ინსტრუმენტზე ჯგუფის Bohemian Rhapsody იმავე წელს შეასრულა.

როიალი ერთ-ერთი იყო იმ უამრავი ნივთიდან, რომელიც მომღერლის კოლექციის ნაწილი იყო და აუქციონზე გაიყიდა. ჯამში აუქციონზე 59 ლოტი გასხვისდა. მათმა ღირებულებამ 15.4 მილიონი დოლარი შეადგინა. მათ შორის იყო მომღერლის სასცენო კოსტიუმები, აქსესუარები და ნახატები

ქუჩები ღვინით... დაიტბორა

პორტუგალიაში, ქარხანაში Destilaria Levira ღვინის ორი რეზერვუარი გასკდა, რის შედეგადაც ქალაქ ანადიას ქუჩები ღვინით დაიტბორა.

არსებული ინფორმაციით, ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა, მომხდარის მიზეზები კი დადგენილი არ არის. სულ ქუჩებში 2,2 მილიონი ლიტრი ალკოჰოლი დაიღვარა. ადგილობრივი მოსახლეობის გადაღებულ კადრებზე ჩანს, რომ ქუჩაში წითელი ღვინო მდინარესავით მოედინება. ქალაქის მთავრობაში აცხადებენ, რომ არ დაუშვეს ალკოჰოლის მდინარეში ჩადინება, რითიც ეკოლოგიური კატასტროფა აღკვეთეს. Destilaria Levira-ში განაცხადეს, რომ მზად არიან მოსახლეობას ინციდენტის შედეგად მიყენებული ნებისმიერი ზარალი აუნაზღაურონ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6282; ევრო - 2.8211;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2738;
100 რუბლი - 2.6833; თურქული ლირა - 0.0978;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5442;
1000 სომხური დრამი - 6.8008

ამინდი 14 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +4,	დღე +24
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +11,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +8,	დღე +25
თბილისი:	ღამე +14,	დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge